140
1971

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი 7 1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქართველი პიონერები თბილისის აეროდრომზე ესალმებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს.


# პიონერი

7

ივლისი

1971

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან





# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის რევოლუციურ მოძრაობაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ჩვენი სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1971 წლის 14 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11.585



# ხუთწლედის ნაბიჯები

მეცხრე ხუთწლედის ერთ-ერთი თავისებურება და მნიშვნელობა ის არის, რომ იგი ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის დაჩქარებულ განვითარებას. ეროვნული რესპუბლიკების გაფურჩქვნა სოციალიზმის მნიშვნელოვანი მონაპოვარია, ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგია.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფრონტზე მიღწეული უდიდესი წარმატებებით საქვეყნოდ იზეიმა საბჭოთა საქართველომ 50 წლის იუბილე. 1971 საიუბილეო წელი დაემთხვა ახალი ხუთწლედის პირველ წელს.



## საბჭოთა საქართველოს ეკონომიური პოტენციალი

საბჭოთა ხალხების დიდ ოჯახში სამგზის ორდენოსანი საქართველოს სსრ წარმოდგენილია როგორც მაღალინდუსტრიული და განვითარებული, მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავე რესპუბლიკა. სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 85-ჯერ აღემატება 1913 წლის დონეს. ამჟამად 5 დღის განმავლობაში იმდენი პროდუქცია გამოდის, რამდენიც რევოლუციამდე მთელი წლის მანძილზე გამოდიოდა. აბა, დაფიქრდით. საქართველო სივრცითა და მოსახლეობით არცთუ ისე დიდი რესპუბლიკაა, მას სსრ კავშირის ტერიტორიის მხოლოდ 0,3 %, ხოლო მოსახელობისა 2 % უკავია. ასეთი ქვეყანა დღეს აწარმოებს მრავალი სახის პროდუქციას: მაგისტრალურ ელმავლებს, სატვირთო ავტომანქანებს, თვითმფრინავებს, წყალქვეშაფრთიან ზღვის კატარღებს, მარგანეცს, ფეროშენადნობს, ქვანახშირს, ნავთობსა და მისი გადამუშავებით მიღებულ პროდუქტებს, ფოლადს, ნაგლინს, თუჯს, საანგარიშო-გამომთვლელ მანქანებს, ზუსტ ხელსაწყოებს, ქიმიური მრეწველობის პროდუქტებს, არამადნეულ წიაღისეულ ნედლეულს, ჩაის, ღვინოს, თამბაქოს, ეთეროვან და ტუნგოს ზეთს, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მრავალფეროვან პროდუქციას. განვლილ 50 წელიწადში ჩვენს რესპუბლიკაში კაპიტალურმა დაბანდებამ 14,3 მილიარდ მანეთზე მეტი შეადგინა. საგრძნობია ჩვენი რესპუბლიკის როლი სსრ კავშირის ეკონომიკაში. ასზე მეტი სახეობის პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს 70 ქვეყანაში. ასეთია საბჭოთა საქართველოს ეკონომიური პოტენციალი დღეს, რომლის საფუძველზე დიდი და ნათელი პერსპექტივებია დასახული მეცხრე ხუთწლედში.

## ელექტროენერგეტიკის განვითარებას — ფართო გზა

თქვენ ალბათ იცით, რომ საზოგადოებრივი წარმოება ყოველთვის ეფუძნება შესაბამის ენერგეტიკულ ბაზას. დღეს წარმოუდგენელია სა-

ხალხო მეურნეობის არსებობა და მით უმეტეს სწრაფი ტემპით განვითარება, თუ ელექტროენერგეტიკა არ გვექნა. მიმდინარე ხუთწლედში დიდი ყურადღება ექცევა ელექტროენერგეტიკის განვითარებას; ეს იმიტომ, რომ იგრძნობა ელექტროენერგიის ბალანსში ერთგვარი დეფიციტი, რასაც შეუძლია დააბრკოლოს ენერგოტევადი დარგების განვითარება. 1975 წელს ჩვენს რესპუბლიკაში ელექტროენერგიის გამომუშავება 15,5 მილიარდ კილოვატსაათს მიაღწევს, ე. ი. თითქმის ორჯერ გადიდდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხუთწლედის ბოლოს ერთი დღის განმავლობაში იმდენი ელექტროენერგია იქნება გამომუშავებული, რამდენიც 1940 წელს ერთი თვის განმავლობაში. დასახული პროგრამა რომ განვახორციელოთ, მწყობრში უნდა ჩადგეს ენგურჰესის მთელი სიმძლავრე. ამ ხუთწლედში აშენდება ვარციხის ელექტროსადგურის კასკადის პირველი რიგი. თბილისის თბოელექტროსადგურში, რომელიც ელექტროენერგიის გამომუშავების 60%-ს იძლევა, დამატებით დაიდგმება ორი მსხვილი ბლოკი, რითაც თბოსადგურის სიმძლავრე 360 ათასი კილოვატით გაიზრდება. გარდა ამისა, დაიწყება მდინარე არაგვზე ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა. ეს იქნება პირველი მსხვილი ელექტროსადგური მთიულეთში, და იგი განა მარტო ელექტროენერგიას მოგვცემს?! კომპლექსი ითვალისწინებს ანანურის ზღვის შექმნას, რომელიც მორწყავს სასოფლო-სამეურნეო ფართობებს, ხოლო თბილისს სასმელ და ტექნიკურ წყალს მიაწვდის. ჟინვალის კომპლექსი ექსპლოატაციაში შევა შემდგომ ხუთწლედში.

## მხრებს შლის მრეწველობა

ნათელი პერსპექტივები გადაეშლება საქართველოს სოციალისტურ მრეწველობას მიმდინარე ხუთწლედში. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა გადიდდება 39-40%-ით. საგულისხმოა, რომ მრეწველობის ზრდის ტემპები ჩვენთან დაახლოებით ისეთია, როგორიც აქვთ ინდუსტრიულად განვითარებულ მოკავშირე რესპუბლიკებს: უკრაინას, ლატვიას, ესტონეთს. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს შავი და ფერადი მეტალურგიის განვითარებას საქართველოში. გაფართოვდება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ფოლადის, ნაგლინის, თუჯის წარმოება; მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მათი ხარისხი. ჭიათურის მარგანეცის საბადოებში რამდენადმე შემცირდა მაღალი ხარისხის შემცველი მადნების მარაგი, ამავე დროს გამოუყენებელია დაბალი ხარისხის ნედლეული, რომელსაც დიდი რაოდენობით შეიცავს ჭიათურის ზონა. ამჟამად მეცნიერები მუშაობენ ამ დაბალი ხარისხის ნედლეულის გამოყენების საკითხებზე, აგრეთვე მარგანეცის კონცენტრატების მანგანუმის შენაერთებად გადამუშავებაზე. ასე რომ, ამიერიდან კონცენტრატების ნაცვლად საზღვარგარეთ ფეროშენადნობები გაიგზავნება, ეს საგრძნობლად გაზრდის ქვეყნის შემოსავალს მარგანეცის გატანის საფუძველზე. იცით თუ არა, რომ ჩვენმა გეოლოგებმა აფხაზეთის მთიან ნაწილში აღმოაჩინეს საკმაოდ მძლავრი დამადნებული ზონა, რომელიც შეიცავს სპილენძს, ტყვიასა და თუთიას. ეს დიდ მომავალს უქადის ფერადი მეტალურგიის დაფუძნებასა და განვითარებას მზიურ აფხაზეთში. საქართველოს რუკაზე უკვე ისახება ახალი სამრეწველო ქალაქი — მადნეული ბოლნისის რაიონში. დამთავრდება იქ სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა. ეს იქნება საბჭოთა კავშირის მასშტაბით ფერადი მეტალურგიის ერთ-ერთი მძლავრი საწარმო.



გეგმა ითვალისწინებს ტყიბულში ქვანახშირის ორი ახალი მაღაროს აშენებასა და საექსპლოატაციოდ გადაცემას; თითოეული მაღარო 600 ათასი ტონის სიმძლავრისა იქნება. დიდი მომავალი აქვს ქიმიური მრეწველობის განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში. მისი პროდუქცია ხუთწლეულში თითქმის ორჯერ გაიზრდება. ეს ძირითადად შეეხება მინერალური სასუქებისა და ქიმიური ბოჭკოების წარმოებას რუსთავში. დიდი ქიმიის ხუთწლედის ფერხულს მიჰყვება ქუთაისის ლითოფონის ქარხანაც, რომელიც მნიშვნელოვნად გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას.

რას უსახავს ხუთწლედი მანქანათმშენებლობას — მრეწველობის გულს? ბევრ რამეს. ასე, მაგალითად: მანქანათმშენებლობის პროდუქციის საშუალო წლიური მატება მიმდინარე ხუთწლეულში 12,4% იქნება ნაცვლად 8,7%-ისა წინა ხუთწლედში. თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხანა, რომელიც მაგისტრალური ელმავლების საერთო-საკავშირო წარმოების ერთ მესამედზე მეტს იძლევა, აითვისებს ახალი ტიპის ელმავლების წარმოებას; მოხდება ქუთაისის ავტოქარხნის ზოგიერთი საამქროს რეკონსტრუქცია-გაფართოება, რაც გაადიდებს ქარხნის სიმძლავრეს. ჩარხმშენებლობა და საინსტრუმენტო მრეწველობა 1,8-ჯერ გაიზრდება, სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება კი — 2,1-ჯერ. განხორციელდება თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის სრული გადაყვანა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციფიკური დარგებისათვის აუცილებელი მანქანების წარმოებაზე; ამასთან ათვისებული იქნება ხელოვნური დაწვიმების და სეტყვის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დანიშნულების დანადგარები. ხუთწლეულში სწრაფად განვითარდება ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა წარმოება, ელექტროტექნიკური მრეწველობა. დასრულდება მშენებლობა თბილისის მმართველი გამოსათვლელი მანქანების ქარხნისა, რომელიც სრულ საპროექტო სიმძლავრეს მიაღწევს. დამთავრდება აგრეთვე თბილისისა და სოხუმის ხელსაწყოთმშენებელი ქარხნების აშენება.

კვების მრეწველობას დიდი ხვედრითი წონა აქვს საქართველოს სახალ-

ხო მეურნეობაში. ამიტომ ხუთწლიანი გეგმა მისი ტრადიციული დარგების მნიშვნელოვნად გადიდებასაც ითვალისწინებს. საქართველოში გაიზრდება ჩაის, სამარკო ღვინოების, შამპანურისა და კონიაკის წარმოება, „ბორჯომისა“ და სხვა მინერალური წყლების ჩამოსხმა, ხილბოსტნეულის კონსერვების გამოშვება.

საქართველო ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელია არამადნეული წიაღისეული ნედლეულისა. საქართველომ ბარიტის წარმოების გაფართოებით საბჭოთა კავშირი გაათავისუფლა იმპორტისაგან, რასაც, პროფ. თვალჭრელიძის გაანგარიშებით, ყოველწლიურად 3 მილიონი მანეთის (ოქროთი) ეკონომია მოაქვს ქვეყნისათვის. საერთო-საკავშირო მოხმარება აქვთ ისეთ ნედლეულებს, როგორიცაა გუმბრინი, დიატომიტი, ასკანატი, თალკი, მარმარილო, ანდეზიტი და სხვა. მიმდინარე ხუთწლედში არამადნეულის წარმოება კიდევ უფრო გადიდდება.

კიდევ უფრო განვითარდება ყველა სახეობის ტრანსპორტი. მეორე ლიანდაგი დაიგება ამიერკავკასიის რკინიგზის გადამწყვეტ უბნებზე; გაფართოვდება საავტომობილო გზების მშენებლობა; აშენდება ათ კილომეტრზე მეტი რკინა-ბეტონის ხიდები. გაფართოვდება და გაუმჯობესდება კავშირგაბმულობის საშუალებები.

## ხუთწლედის მარშრუტები

ჩვენს ქვეყანაში შეიქმნენ და გაიზარდნენ დიდი ქალაქები. მოსახლეობამ და საწარმოთა რიცხვმა ამ ქალაქებში ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ მიზანშეუწონელი ხდება მათი შემდგომი ზრდა. ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს დიდი ქალაქების ზრდის შეჩერებასა და მცირე ქალაქებში სამრეწველო წარმოების განვითარების ღონისძიებებს. განხორციელდება სამრეწველო ცენტრების ზოგიერთ მეთაურ საწარმოთა ფილიალების შექმნა ჩვენი რესპუბლიკის საშუალო და მცირე ქალაქებში. ასე, მაგალითად: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა გურჯაანში ქმნის ლითონდამმუშავებელი დაზგების ცალკეული დეტალებისა და ნაწილების დამამზადებელ ფილიალს; ლაგოდეხში თავის განყოფილებას გახსნის თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანა. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა კი ხუთწლეულში გააფართოებს თავის ფილიალს აბაშაში, ახალ საამქროს გახსნის ლანჩხუთში; მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით მცირე მასშტაბის სამკერვალო ფაბრიკები აშენდება ზესტაფონში, ფოთში, ონში... მიმდინარე ხუთწლედში საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა ამუშავდება ხაშურში. ტყავნედლეულის ქარხანა და ფაიფურ-ქაშანურის ახალი საწარმო აიგება შულავერში; ბოგდანოვკაში აშენდება რკინაკავეულის გამომშვები ქარხანა; დამთავრდება ლილოს მექანიკური სათამაშოების ფაბრიკის და გორის მექანიკური ფაბრიკის რეკონსტრუქცია. ეს ღონისძიებები უზრუნველყოფს მრეწველობის უფრო მიზანშეწონილ, რაციონალურ განლაგებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ადგილობრივი შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას და რესპუბლიკის ჰარმონიულ განვითარებას.

## მხარე ნარინჯიანი

საქართველოს მდებარეობა, კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები გან-



საზღვრავენ მისი სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურასა და სპეციალიზაციას. ძნელია მოიძებნოს სხვა მეორე მხარე, სადაც სოფლის მეურნეობა ასეთი მრავალფეროვანი დარგებით იყოს წარმოდგენილი. ახალი ხუთწლიანი გეგმაც ამ დარგების განვითარებას ითვალისწინებს. საქართველო ჩაის მთავარი მწარმოებელი და მიმწოდებელია ჩვენი ქვეყნისათვის. გეგმა ითვალისწინებს წელიწადში 245 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფას. ქართველმა მეჩაიეებმა აიღეს ვალდებულება, ჩაის ფოთლის კრეფა ხუთწლედში 300 ათას ტონამდე აიყვანონ. კიდევ უფრო განვითარდება მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა. საბჭოთა მშრომელების სუფრას უფრო მეტი რაოდენობით დაამშვენებს ქართული ყურძენი, ხილი და ციტრუსოვანთა ნაყოფი. საქართველოში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეთერზეთოვანი კულტურების წარმოებას, იგი იძლევა ნატურალური ეთეროვანი ზეთის წარმოების 80%-ს. ხუთწლეულში კიდევ უფრო გადიდდება ამ კულტურების ფართობი. სსრკ-ში ტუნგოს ერთადერთი მწარმოებელი ჩვენი რესპუბლიკაა. გადიდდება ტუნგოს ზეთის წარმოება, რომელსაც დიდი გამოყენება აქვს თვითმფრინავების, მსუბუქი ავტომანქანების, გემებისა და ჰიდროტურბინების წყალქვეშა ნაწილების დამზადებაში.

საქართველოს თამბაქოს საკავშირო მნიშვნელობა აქვს. აფხაზური „სამსუნი“ საუცხოო საკუპაჟო ნედლეულია. იგი გამოიყენება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნებში თამბაქოს შესაზავებლად. გათვალისწინებულია ხუთწლედში თამბაქოს პლანტაციების გადიდება. დასახულია აგრეთვე მარცვლეულის წარმოების გადიდება. სოფლის მეურნეობის ამ დარგების განვითარებისათვის ხუთწლედის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 70 ათასი ჰექტარი გაწყლოვანებული და 50 ათასი ჰექტარი ამოშრობილი მიწის ფართობები. დიდი ყურადღება მიექცევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინ-

ტენსიფიკაციასა და მისი ეფექტიანობის ამაღლებას. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მიმდინარე ხუთწლეულში მიიღებს 15 400 ტრაქტორს, 1200 მარცვლეულის ასაღებ კომბაინს, 11 900 ავტომანქანას, 800 ათას ტონამდე მინერალურ სასუქებს და საჭირო რაოდენობით შხამქიმიკატებს. გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე მეცხოველეობის საერთო აღმავლობასთან ერთად სამრეწველო მეფრინველეობის განვითარებას. მიმდინარე ხუთწლედში დამთავრდება კოდის, გორის, გაგრის, ფოთის და სხვა მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა; ამასთან გათვალისწინებულია მეხორცეობისა და მეკვერცხეობის ფაბრიკის მშენებლობა.

როცა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ჩვენი ხალხის საუნჯის — ლამაზი ბუნების, ფლორისა და ფაუნის დაცვის ღონისძიებებს. საქართველოში მცხოვრები ყოველი მოქალაქე, დიდი თუ პატარა, ბუნების ნამდვილი მეგობარი უნდა გახდეს. უნდა იცავდეს ჩვენს საუნჯეს და ამავე დროს ხელს უწყობდეს მის გამრავლებას, გაშენებასა და მოშენებას. უნდა რგავდეს და უვლიდეს ხეს, ამწვანებდეს ქუჩებს, ეზოებს, მოედნებს. ეს დიდი, კეთილშობილური და პატრიოტული საქმეა.

ახალ ხუთწლედში მკვეთრად გადიდდება კაპიტალური დაბანდებანი. მისი მოცულობა ხუთწლეულში 3 880 მილიონ მანეთს მიაღწევს. აქედან სოფლის მეურნეობაში დაბანდებული იქნება 1408,2 მილიონი მანეთი.

## ხალხის კეთილდღეობის ამაღლება

ახალ ხუთწლედში ეროვნული შემოსავალი 44%-ით გადიდდება, მშრომელთა რეალური შემოსავალი კი 38%-ით. ხუთი წლის მანძილზე აშენდება 5,5 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. დიდი ყურადღება მიექცევა კომუნალური მეურნეობის გაფართოება-გაუმჯობესებას. რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში გათვალისწინებულია წყალსადენის, კანალიზაციის, გაზიფიკაციის სამუშაოთა წარმოება. დამთავრდება მაგისტრალური გაზსადენის გორი — ქუთაისის მშენებლობა. მისი განშტოების საშუალებით ბუნებრივ გაზს მიიღებენ ხაშური და ბორჯომი. გაუმჯობესდება საქალაქო ტრანსპორტის მუშაობა.

გეგმით გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლათა მატერიალური ბაზის და კონტინგენტის მნიშვნელოვანი მატება, აგრეთვე სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების ქსელის გაფართოება. დასახულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კვალიფიციური კადრების მომზადების და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გადიდება. მკვეთრად გაუმჯობესდება სამედიცინო მომსახურება. გაფართოვდება საკურორტო და ტურისტული მეურნეობა, გაუმჯობესდება მშრომელთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

საქართველოს ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის და კულტურის აღმავლობა-განვითარებას აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარება ახალ ხუთწლედში კიდევ უფრო აამაღლებს საქართველოს სსრ ხვედრით წონას საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში. იგი ამით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საერთო საკავშირო ეკონომიური ამოცანების გადაჭრაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

პროფესორი
როსტომ წულუკიძე.

მხატვარი
დიმიტრი ზარაფიშვილი.



**მ. ჩებუკოვი**

# მეგზური

მხატვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მთელი ღამე კოკისპირულად წვიმდა. ქარი ამოვარდა. იგი დაუზოგავად სცემდათ სახეში. წყალი წურწურით ჩასდიოდათ კისერში, ჩექმების ყელში. წებოვანი თიხა ბელტებად ეკვროდა ჩექმის ძირებს. სიარული სულ უფრო ჭირდა.

განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის, ოპერატიული ჯგუფის მებრძოლები დავალებიდან ბრუნდებოდნენ. დღეს მათ უკვე მესამედ მოეცარათ ხელი. რკინიგზასთან მისვლა არაფრით არ ხერხდებოდა — გერმანელებმა დაცვა გააძლიერეს. მინსკ — ბობრუისკის გზის მონაკვეთზე მიმოდიან დრეზინები, ჯავშნოსანი მატარებლები. რკინიგზის ხაზის გასწვრივ აგერ-ეგერ ინთებიან პროჟექტორები, დარახრახებენ საყარაულო ტანკები.

მინდორი რომ გადაჭრეს და ტყეში ღრმად შევიდნენ, ჯგუფის მეთაური იაკობ ფომინი შეჩერდა. მოვიდნენ ისკრიბანოვი, სიომინი, ლაზარევიჩი, კურბაში.

— რა ვქნათ? — იკითხა ისკრიბანოვმა, პილოტურა მოიხადა და წყალი ჩამობერტყა.

ფომინმა პასუხი დააყოვნა, ჯერ ტოტებგაშლილი ფიჭვი მოძებნა, რომლის ქვეშაც მიწა მშრალი დარჩენილიყო, ზურგჩანთა მოიხსნა, დაჯდა, ხეს ზურგით მიეყრდნო და თქვა:

— ჯერჯერობით უნდა დავისვენოთ.

აბა სხვა რა პასუხი შეეძლო გაეცა? სცადონ ერთხელ კიდევ ლიანდაგთან მისვლა? დაბრუნდნენ რაზმში? მაგრამ ორ-სამ დღეში ხომ ისევ მოუხდებათ წამოსვლა. ამიტომ არც ერთს და არც მეორეს აზრი არ ჰქონდა. ასაფეთქებელი მასალა ხელუხლებელი აქვთ, საჭმელიც ჯერჯერობით საკმარია. როგორმე უნდა მოახერხონ ლიანდაგთან მისვლა. უნდა ეძებონ ახალი საშუალება და არამც და არამც არ უნდა დაბრუნდნენ ხელცარიელი.

თითქოს მეთაურს ნაფიქრალს მიუხვდაო, ისე წამოიწყო სიომინმა, რომელსაც მთელი გზა ხმა არ ამოუღია.

— იქნებ დღისით გვეცადა? ხომ შესაძლოა, გერმანელები დღისით დაცვის ნაწილს ხსნიდნენ? ისინი ღამით გველიან, ჩვენ კი დღისით... რას იტყვით?

მეთაურს ჭკუაში დაუჯდა ეს აზრი. სიომინი მართალია. დღისით დამატებითი დაცვა დასასვენებლად მიდის და ჰიტლერელებს საყარაულო პოსტებისა და კოშკურების იმედი აქვთ, საიდანაც თვალყურს ადევნებენ მთელ მიდამოს. უნდა მოვძებნოთ ეს კოშკურები. განვსაზღვროთ ის ზონები, რომელიც ამ კოშკურებიდან არ ჩანს... უნდა შევადგინოთ მიმოხილვის სქემა.

— სიომინი ნამდვილად საქმიან წინადადებას გვთავაზობს. უნდა შევისწავლოთ დღის დაცვის განლაგება. წავიდეთ სოფელში. იქ გავშრეთ და დავისვენოთ.

განთიადისხანს წვიმამ გადაიკარა. დათბა. მიწაზე ნისლი გაიშალა. ბალახი და ხის ფოთლები მწვანედ აკიაფდა.

ბორცვზე ავიდნენ თუ არა, სოფელიც გამოჩნდა. აქაიქ საკვამურებიდან ბოლი ამოდიოდა. განაპირა ქოხთან ამფეთქებლებს პარტიზანთა ადგილობრივი რაზმის მებრძოლები შეხვდნენ. ფომინი ბევრ მათგანს იცნობდა. იმათგან გაიგეს, რომ სოფელში გაჩერებულია კისელევის ჯგუფი. ფომინმა იცოდა, რომ ეს ჯგუფი დავალებაზე იმავე დღეს წავიდა, რა დღესაც მისი ჯგუფი. ოღონდ კისელევის ხალხს სადგურ ტალკას რაიონში უნდა ემოქმედათ. ფომინმა კისელევი სოფლის ბოლოში ნახა, იგი კიბეზე იდგა და ჩექმებს იწმენდდა.

— სალამი! რა ქარმა გადმოგაგდოთ? — გაოცდა კისელევი.

— ქარმა და წვიმამ, — მიუგო ფომინმა. — რამ შეგყარათ ამდენი ხალხი? — მისალმების შემდეგ ჰკითხა მან.

— აქ ყველანი როდი ვართ. ღამით ორი ჯგუფი წავიდა. გერმანელები მთლად გაცოფდნენ. ისეთი დაცვა მოაწყეს, თითსაც ვერსად შეყოფ.

— ვიცით, ჩვენც ვსინჯეთ. რა ადგილებში იყავით? — ჩამოჯდა კიბის საფეხურზე ფომინი.

— ტალკასთან, სადგურ რუდენსკთან, ბლუჟთან. მაგრამ ვერაფერს გავხდით, — თითქოს თავს იმართლებდა კისელევი.

— ახლა საით აპირებთ?

— დრიჩინის ასაქცევისაკენ. აი ცოტას გავშრებით და დავიძვრებით. თქვენ როგორ გაქვთ საქმე?

— ასევე, — ჩაიბურტყუნა ფომინმა. — სამჯერ ვცადეთ, არაფერი გამოგვივიდა, — იგი წამოდგა და გაიზმორა. — ოჰ, როგორ მეძინება... მისმინე, დიმა, მოდი სანამ თქვენ წახვალთ ჩვენ წავიძინებთ ცოტას.

— კარგი. შედით ბეღელში. ჩვენ იქ თივა დავყარეთ. ტანსაცმელი გარეთ გაკიდეთ უფრო გაშრება...

შუადღეზე ფომინი გაალვიძეს. იაკობმა ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. კისელევმა მკლავში ხელი გამოსდო.

— გუშინ შჩორსის სახელობის რაზმის პარტიზანები დანაკარგით დაბრუნდნენ. რკინიგზის ხაზის შორიახლოს გერმანელების საფარს წაწყდომიან, ძლივს დაუღწევიათ თავი. ორი დაჭრილი მტერს ჩავარდნია... ფრთხილად იყავით. — კისელევმა ხელი გაუწოდა. — წარმატებას გისურვებთ!

— თქვენც! — მიუგო ფომინმა და გასაცილებლად გაჰყვა. ქოხთან კისელევის მებრძოლები იდგნენ და ხმამაღლა იცინოდნენ.

— ეს ვიღაა? — იკითხა ფომინმა, როცა მებრძოლებს შორის პატარა ბიჭი დაინახა.

— ეს კიდევ აქ არის! — გაცხარდა კისელევი. — მაგისგან მოსვენება აღარ არის, კაცო, გაგონილა!

— საიდან არის ბიჭი? — იკითხა ფომინმა.

— ვერეიცედან, მესამე დღეა გვიტრიალებს. ხან ერთს ეხვეწება, ხან მეორეს, პარტიზანობა უნდა.

— ვერეიცედან არისო, ამბობ? თქვენ ჰკითხეთ?

— რად მინდა, რომ ვკითხო. თან ხომ არ მიმყავს.

ფომინმა უკმაყოფილოდ შეხედა კისელევს.

— ტყუილად გიფიქრია ასე! სოფელში თავმოყრილია ოპერატიული ჯგუფები და პარტიზანები. თითოეულს უნდა იცნობდე...

ხარხარმა შეაწყვეტინა ფომინს. ბიჭუნას არ შეუნიშნავს მოახლოებული მეთაურები და განაგრძობდა თხრობას:

— როცა ისინი მამალს დაედევნენ დასაჭერად, მე ქონს დავავლე ხელი და მოვუსვი. ერთმა გერმანელმა შემნიშნა და დაიწყო ღრიალი: „პარტიზანი, პარტიზანიო!“ და ავტომატი დამიშინა, ტყვიებს პირდაპირ ჩემ ფეხებთან გაჰქონდა ზუზუნი, ღობეს გადავახტი და ბაღში ჩავგორდი. იქიდან კი ხრამით და ჭაობებით ლელიანში შევერიე. ისინი აღარ დამდევნებიან, ავტომატს ისვრიან და ყვირიან: პარტიზანი! კაპუტ! საღამომდე ვიჯექი, კოღოებმა დამკბინეს მთლად, მაგრამ გამოსვლა მეშინოდა, ბოლოს გავიგონე, ბაბუა პეტრე მეძახის. ლელიანიდან გამოვძვერი; მთლად დასვრილი, გათოშილი. სახლში აღარ წავსულვარ, ბაბუასთან გავათიე ღამე. დილით კი აქ მოვედი თქვენთან...



— ყოჩაღ! ნამდვილი გმირი ხარ! — მოუსვა ხელი აჩეჩილ თავზე ფომინმა.

— მე სროლაც შემიძლია, — დაუმატა ბიჭმა ვედრების კილოთი, როცა შეატყო მებრძოლები წასასვლელად ემზადებიანო.

— რამდენი წლისა ხარ? — ჰკითხა ფომინმა და ბიჭი განზე გაიყვანა.

— ცამეტისა. რატომ არ უნდათ ჩემი წაყვანა? — ოხვრით წარმოთქვა მან.

— ჯერ პატარა ხარ და, ამას გარდა, ალბათ იარაღის ხმარებაც არ გეცოდინება.

— ვიცი! მე და გრიშატკამ ვისროლეთ. ტყეში ავტომატი ვიპოვეთ და რიგრიგობით ვისროდით, ვიდრე ტყვიები არ გაგვითავდა.

— სად ცხოვრობ? სოფელში თუ სადგურში?

— სადგურის ახლოს დაბაში.

— დადიხარ სადგურზე თუ იქ ახლა არავის უშვებენ?

— ადრე დავდიოდი.

— აი, მე და შენ რომ წავიდეთ, არ შეგეშინდება?

— ეგ რა მოსატანია! — მიაპყრო ლურჯი თვალები ბიჭუნამ. — იქ დეიდაჩემი ცხოვრობს, ვიტყვი, იმასთან მივდივარ-მეთქი. მართალია, ის ჩხუბს დამიწყებს: „სად ეშმაკებში დაწანწალებო“, ყოველთვის ასე იცის, როცა გაიგებს, რომ სადგურზე ვიყავი.

ფომინს გაეღიმა.

— დედა თუ გყავს?

— არა. — ბიჭი გაყუჩდა. — დაიღუპა. მამაჩემი კი ფრონტზეა. ახლა ყველანი ფრონტზე არიან. ჩვენი ბიჭები პარტიზანებთან წავიდნენ, მე კი არ მღებულობენ, ალბათ იმიტომ, რომ კუზიანი ვარ. კი მაგრამ, რა მოხდა მერე, კუზიანი რომ ვარ! მე გრიშატკაზე უკეთ ვისვრი და დავრბივარ კიდეც. ლახტს როცა ვთამაშობდით, მე ყველას ვჯობნიდი.

— სადგურის ასავალ-დასავალი კარგად იცი?

— აბა, როგორ არ მეცოდინება. მამაჩემი მემანქანე იყო, დედა კი მეისრედ მუშაობდა.

— შეგიძლია მაჩვენო მეისრის ჯიხური, რომელშიც გერმანელები ცხოვრობენ?

— შემიძლია. მე ისიც ვიცი, სად დგას იმათი დაცვა, სად უდგათ ტყვიამფრქვევები.

— ოო, ეს კი ტრაბახი გამოგივიდა, ძმაო. ვითომ იცი სად უდგათ ტყვიამფრქვევები!

— არა გჯერა. — ერთი სახურავზე უდგათ, მეორე კი წყალსაქაჩთან.

— რომელ სახურავზე?

— სადგურის სახურავზე, მერე კიდევ ტყის პირდაპირ და სემაფორთან.

— სადგურზე გერმანელები ბევრნი არიან?

— გააჩნია როდის, როგორ. საერთოდ არცთუ ისე ბევრი. ისინი უმეტესად ხაზზე დადიან, ანდა ვაგონებთან დგანან.

— რომ დაგვიჭირონ? მოწკურა შავი თვალები ფომინმა. — მაშინ რას იზამ?

— ვერ დაგვიჭერენ! ჩვენ ჭაობის მხრიდან მოვუვლით — ეს ჩვენ მან ისე დამაჯერებლად თქვა, რომ ფომინს უნებლიეთ გაეცინა. — მართლა! თავდაპირველად ისინი იქ ყარაულს აყენებდნენ, ახლა კი აღარა. ჭაობზე გასასვლელი არ არის.

— როგორ თუ არ არის? აბა, შენ როგორღა აპირებ გასვლას?

— მე ვიცი, როგორც უნდა გავიდე. იქ წყალქვეშა ბილიკებია და იმათზე გავალთ.

ფომინს სჯეროდა მისი. მან თვითონაც მიახლოებით იცოდა სადგურის განლაგება, მაგრამ თუ ჭაობის მხრიდან გასასვლელი იყო, ეს პირველად ესმოდა. ფომინმა თავისთვის უკვე გადაწყვიტა: „ჯგუფი ვერეიცაში წაეყვანა!“ მაგრამ რა უყოს ბიჭს? მან ჯიქურ შეხედა ბიჭუნას და უთხრა:

— აი რა, ვანია, — ფომინმა მას ხელში ხელი მოჰკიდა, — წადი სახლში, ალბათ რახანია გეძებენ.

— არ წავალ! — მოუჭრა ბიჭუნამ. — სულ ერთია, პარტიზანებთან გავიქცევი! თქვენ არ ამიყვანთ, სხვები ამიყვანენ. მე მათი მეგზური გავხდები.

— ვინ, ვინ გახდები?

— ვინა და მეგზური! გრიშატკა გასული ზამთრის მერე მეგზურადაა პარტიზანებთან. უკვე ბრძოლაშიც იყო. თვით რაზმის მეთაურმა შეაქო.

— ეს რა ქონზე უყვებოდი მებრძოლებს? — გადაიტანა ლაპარაკი ფომინმა, როცა შეხედა როგორ მოიღუშა ვანია.

— ეს ისე. გერმანელებს ქონი მოვტაცე. ისინი ქოხებში დაძრწოდნენ, ქათმებს ეძებდნენ. ბაბუა პეტრეს ქონი წაართვეს, შემეცოდა ბაბუა, უკანასკნელი ნაჭერი წაართვეს. მე მივეპარე და ავაცალე!

— ააცალე! — შეაჩერა ფომინმა. — გგონია სწორად მოიქეცი? — რომ დაეჭირეთ, ჩამოგახრჩობდნენ! პარტიზანობას აპირებ და ერთი ნაჭერი ქონისთვის თავს საფრთხეში იგდებ.

— აბა რატომ დამცინოდნენ, — მოიღუშა განაწყენებული ბიჭი, — ქათმებს იჭერდნენ და, მე რომ დამინახეს, სიცილი დამაყარეს. ერთი სულ ჩემ კუზზე უჩვენებდა... ჯერ ჩემთვის ასე არავის დაუცინია. — იგი გაჩერდა და თვალები სახელოთი მოიწმინდა.

— ახლა სად ცხოვრობ? — ალერსიანად ჰკითხა ფომინმა.

— არსად. გარეთ უკვე დათბა.

— წამოდი ჩემთან, — და ფომინმა ბიჭი ბელლისკენ წაიყვანა. მისი ჯგუფის მებრძოლები თოკებიდან გამშრალ ტანსაცმელს ხსნიდნენ.

— გაიცანით, — წარუდგინა ფომინმა ბიჭი. — პარტიზანებთან მიდის.

მეთაურმა განზე გაიხმო ისკრიბანოვი და უთხრა ყველაფერი, რაც ვანიასაგან გაიგო.

— მან იცის სადგურთან მისასვლელი. თან უნდა წავიყვანოთ.

— მაგას წავყვეთ? — აზიდა წარბები ისკრიბანოვმა. — ეგ ხომ სულ ბავშვია? ეგეც რომ არა...

— ეგ მხოლოდ გზას გვიჩვენებს. ბავშვიაო, ამბობ, ვითომ სიომინი ბევრითაა მაგაზე უფროსი? დიდი-დიდი ხუთი წლით თუ იქნება და უკვე მესამე წელია მტრის ზურგში დადის. ამაში როდია საქმე. — აუწია ხმას ფომინმა. — მაგას დედა დაეღუპა... მამა ფრონტზეა. ომმა ყველაფერი წაართვა. უნდა გავუგოთ. მაგის თანატოლები პარტიზანებთან წასულან. ბრძოლებში მონაწილეობენ ანდა მეკავშირეებად ჰყავთ. ეს კი? ეგ რა ადამიანი არ არის? კუზიანია! ამიტომ არ ვენდოთ...

— რატომ ამბობ ასე, — აღელდა ისკრიბანოვი. — მე ხომ არ მითქვამს წინააღმდეგი ვარ მეთქი? — იგი ვანიასთან მივიდა, აჩეჩილ თავზე ხელი მოუსვა და ჰკითხა: — გინდა ჩვენთან?

— შეიძლება ხომ?!

ბიჭს ბედნიერებისაგან თვალები გაუცისკროვნდა. ჯერ ფომინს შეხედა, მერე ისკრიბანოვს.

სადგურ ვერეიცამდე სამი საათი მოუნდნენ გზას. ტორფნართან შეისვენეს, მერე ცივ, დამყაყებულ წყალში შევიდნენ და უხილავ გზას დაადგნენ.

ფომინი ხშირად აჩერებდა ვანიას, ყურს მიუგდებდა, მიმოიხედავდა, გზას იმახსოვრებდა. ბიჭი მთლად გაიცრიცა. გამხდარ, წაწვეტებულ სახეზე ოფლი დაასხა. წყალი წელამდე სწვდებოდა, დიდი გაჭირვებით მიდიოდა. ზოგან სქელი ბალახი ხვდებოდათ, მაშინ ჯგუფი ჩერდებოდა და ელოდა როდის გაიკაფავდა გზას ვანია. მასთან მისვლა და მოხმარება შეუძლებელი იყო: ბილიკი ვიწროა, ზოგან მთლად ჩაქცეული.

გულს უწვრილებდათ კოღო. მიძვრებოდნენ თვალებში, ყურებში, პირში. ვანია ხან მარჯვნივ უხვევდა, ხან მარცხნივ, ძნელი მისახვედრი იყო, როგორ პოულობდა ამ უხილავ, წყალქვეშა ბილიკს.

ოდნავ მარცხნიდან ორთქლმავლის ხმადაბალი სტვენა და ბორბლების კაკუნი მოისმა. ბიჭი შეჩერდა. თვალით ანიშნა იმ მხარეს, საიდანაც ხმა მოდიოდა. აგრძნობინა, სადგური ახლოსააო. ფომინი მისკენ დაიხარა. ივანემ უჩურჩულა: „კიდევ უფრო ახლოს უნდა მივიდეთ“.

როცა ხშირი, მაგრამ არცთუ ისე მაღალი ლელიანი გაიარეს, სადგურის ნაწილი გამოჩნდა. ვაგზალი ჯერ არ ჩანდა. მხოლოდ ლიანდაგებზე მდგარი შემადგენლობები და რაღაც ნაგებობების სახურავების დანახვა შეიძლებოდა. ფომინმა დურბინდი შემართა.

— არა, — შეაჩერა იგი ვანიამ და გზა განაგრძო. მალე მეორე ლელიანში შევიდნენ. ეს უფრო მეჩხერი და ძველი იყო.

ფომინი ფეხით სინჯავდა ფსკერს. ცდილობდა გზიდან გადაეხვია, მაგრამ ამაოდ, ყოველ ცდაზე ფეხი საყრდენს კარგავდა. „არა, ამ ბიჭის რეშე ვერაფრით ვერ გავალთ“, — გაიფიქრა მან.

ლერწმნარი გაიარეს და მყარ ნიადაგზე, ბუჩქნართან გავიდნენ. აქ ვანია მუცელზე გაწვა და გაცოცდა. მას დანარჩენები მიჰყვნენ. ბუჩქნარიდან გააღწიეს და მათ თვალწინ მთელი სადგური გადაიშალა.

მათგან კილომეტრის მოცილებით იდგა ღია, ცარიელი პლატფორმების გრძელი შემადგენლობა. იმას იქით ასეთივე შემადგენლობა მოჩანდა, სულ იქით კი — მონაცრისფრო-მომწვანო პულმანების ეშელონი.

ფომინმა დურბინდში დაინახა ბორბლებს შორის მოძრავი ორი წყვილი მოკლეყელიანი ჩექმა: ისინი აუჩქარებლად იძვროდნენ ლიანდაგის გასწვრივ. ვაგონებს შორის დაინახა პლატფორმა, სადაც მიმოდიოდნენ ჯარისკაცები. შეხედა ვაგზალს. შესასვლელთან მაღალ სამფეხაზე იდგა მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ლულაც დაბისკენ იყო მიშვერილი. იქვე ყუთებზე ისხდნენ გერმანელები.

რკინიგზის ხაზების რაოდენობის განსაზღვრა ძნელი იყო. მაგრამ ფომინმა ივარაუდა — ოთხზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. დასავლეთის მხრიდან, დაბისკენ ახლოს რაღაც ნაგებობა ჩანდა. ფომინი ვერ მიხვდა რა იყო და ივანეს ჰკითხა:

— მარჯვნივ რაღაც პატარა დაქცეული სახლია, ხომ არ იცი რა არის?

— ადრე მეისრის ჯიხური იყო, ახლა არ ვიცი.

— ახლა სადღაა მეისრის ჯიხური?

— აქედან სამიოდე ვერსზე. ახლა იქ დაცვა ცხოვრობს.

— წყალსაქაჩის გვერდზე რა ავზებია?

— მაგ ავზებში ფისია. განძელებს ფისავენ.

— მაგაზე ვინ მუშაობს?

— ტყვეები.

— გვერდით რომ რკინის საკვამურია ის რაღაა? — დურბინდისგან თვალისმოუცილებლად კითხულობდა ფომინი.

— აბანო. — პასუხობდა ბიჭი თამამად, ეტყობა კარგად იცოდა სადგურიცა და მისი შემოგარენიც.

ფომინმა დურბინდი ისკრიბანოვს გადასცა. თვითონ კი უბის წიგნაკი, ფანქრის ნატეხი ამოიღო და სადგურის ორიენტირები მოხაზა.

— ღამით წავალთ. ჯერ იმ ავზებთან მივალთ, მერე კი აბანოსთან. ისინი, როგორც ჩანს, უფრო ნაკლებადაა დაცული. დანარჩენს ადგილზე გადავწყვეტთ.

შებინდდა. მატარებლების მოძრაობამ თანდათან იკლო. ბოლოს სულ შეწყდა. გარკვევით ისმოდა გუშაგების ნაბიჯების ხმა, მეთაურების განკარგულებები პლატფორმაზე, სადაც შემადგენლობის დატვირთვა დაიწყო.

ფომინი, ისკრიბანოვი და სიომინი, რომლებიც დასანაღმად მიდიოდნენ, სამზადისს შეუდგნენ. ვანია თან არ მიჰყავდათ და ის გაბუტული იჯდა განზე, ფომინი



ცდილობდა მის დარწმუნებას.

— არ შემიძლია, გესმის, ივან, არ შემიძლია! ნაღმისა შენ არაფერი გაგეგება, არც ჩაწყობა იცი. ჩვენ, ვიდრე ამფეთქებლები გავხდებოდით, მთელი თვე ვსწავლობდით ამ საქმეს. უნდა მოითმინო. გასწავლით, შენ, შეიძლება ითქვას, რომ უკვე პარტიზანი ხარ... შენი ამხანაგი გრიშატკა რომელ რაზმშია?

— სუვოროვის სახელობისაში.

— მოვძებნით გრიშატკას და მერე ერთად ივლით დაზვერვაზე.

ივანე გამხიარულდა. ახლოს მიჩოჩდა. ისკრიბანოვმა ბიჭს ხელი მოჰხვია, მიიხუტა.

— მოითმინე და ნამდვილი პარტიზანი გახდები!

სადგურზე აქა-იქ აინთო ფარნები. მათი მქრქალი შუქი ოდნავ აჩენდა სიბნელიდან პლატფორმას, ლიანდაგს, შემადგენლობებს.

სამი ამფეთქებელი გამოვიდა ბუჩქებიდან. მიდიოდნენ წელში მოხრილები, ზოგან კი მიცოცავდნენ. მიუახლოვდნენ რკინიგზის ხაზს. ლიანდაგიდან ცოტა მარცხნივ დაწყობილ განძელებთან შეჩერდნენ. ჩაწვნენ. მოიცადეს, ვიდრე გერმანელები სადგურს მოსცილდებოდნენ და მოკლე გარბენით ნახევრად დანგრეულ ძელურ აბანოსთან გაჩნდნენ.

ფომინმა ხელისცეცებით მიაგნო თაროს, ზედ აძვრა და პატარა, ჭუჭყიან სარკმელში გაიხედა. სახელოთი გაწმინდა მინა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. მაშინ ჩარჩოს მიაწვა. ჩარჩომ გაიჭრიალა და სარკმელი გაიღო. ფომინმა თავი გამოყო. მიმოიხედა, შეამოწმა სწორად განსაზღვრეს თუ არა საგუშაგოები, შემადგენლობების სადგომი და რკინიგზის ხაზები. ყველაფერი დაემთხვა. გადაწყვიტეს: ერთი ნაღმი იმ ლიანდაგქვეშ ჩაედოთ, რომელზეც დღის განმავლობაში ფრონტის მიმართულებით შეუჩერებლად გაიარეს ეშელონებმა, მერე კი —

გამზადებული შემადგენლობის ქვეშ.

ამხანაგები რომ გააცილეს, ლაზარევიჩი და კურბაში რკინიგზის ხაზს მიუახლოვდნენ და ჩაწვნენ. მათ გვერდით ვანია ჩამოჯდა. ბიჭი გაჩუმებულიყო. ვიწრო, გამხდარ მხრებში ჩაერგო პატარა თავი და თვალს არ აცილებდა აბანოს.

ერთი საათის შემდეგ გამოჩნდნენ რკინიგზის ხაზის მხრიდან მომავალი ადამიანების ჩრდილები.

— ჩვენები! — გაიხარა ბიჭუნამ და მათ შესახვედრად გაცოცდა.

უკან დასაბრუნებელ გზას დაადგნენ. ჭაობში ყველამ ერთმანეთს ჩაჰკიდა ხელი და ასე დაწალიკებული მიდიოდნენ. წინ ვანია მიუძღოდათ. ხშირ ვერხვნარში დასასვენებლად დასხდნენ. გადაწყვიტეს აქ დალოდებოდნენ აფეთქებას და შემდეგ დაბრუნებულიყვნენ ბაზაში. განთიადის ხანს ისაუზმეს.

ცოტა ხანიც და გაისმა ორთქლმავლის გაბმული კივილი. მებრძოლებმა ჭამა შეწყვიტეს და გაირინდნენ. ორთქლმავალმა კიდევ იკივლა. ბორბლების რიტმულ კაკუნზე ეტყობოდა, რომ ეშელონი შეუჩერებლად მიდიოდა. ხმაური მატულობდა, იზრდებოდა ამფეთქებლების მღელვარებაც. აი, მატარებელი უახლოვდება სადგურს. აი, ორთქლმავალმა ერთხელ კიდევ იკივლა. აფეთქება უკვე უნდა მომხდარიყო, მაგრამ... მხოლოდ ორთქლმავლის ქშენა და ბორბლების კაკუნი ისმის.

ხმაური თანდათან ნელდებოდა. მაგრამ აფეთქება არ მომხდარა. ერთხანს უხმოდ იდგნენ: ნაღმები ფომინმა ჩააწყო და ახლა ყველა ერთბაშად შემობრუნდა მისკენ. ელოდნენ რას იტყოდა. მეთაურმა კი მშვიდად თქვა:

— მოვიცადოთ. შესაძლოა მატარებელმა სხვა ხაზზე გაიარა.

ფომინმა იცოდა, რომ სხვა ხაზზე მატარებელი ვერ გაივლიდა. მხოლოდ ერთადერთი ხაზი იყო თავისუფალი, და მაინც თქვა:

— მოვიცადოთ!

საქმლისათვის ხელი აღარავის უხლია. მატარებლები რახრახით გაივლიდნენ სადგურს, აფეთქება კი... ნაღმი რომ არ მოქმედებდა, ახლა ამას ყველა ხვდებოდა, რას ფიქრობდნენ ამფეთქებლები, ამის თქმა ძნელია. მაგრამ მატარებლის ყოველ გამოჩენაზე ფომინი ხედავდა როგორ იძაბებოდნენ, როგორ ელოდნენ ისინი.

— მე მივდივარ შესამოწმებლად, ვინ წამოვა ჩემთან? — დაარღვია სიჩუმე ფომინმა.

ამხანაგები ფომინისაკენ შემობრუნდნენ. მეთაურმა მათ თვალებში გაუგებრობა შენიშნა, ნაღმის შემოწმება დღისით და ისიც მტრის ცხვირწინ. ეს უდიდესი რისკი და სიგიჟე იყო. ფომინმა ზურგჩანთა შეისწორა, ავტომატის სალულე კოლოფი გახსნა, საკეტი ამოიღო, გასინჯა და ისევ ჩადო. კოლოფის თალფაქი ჩაკეტა. ამფეთქებლები უხმოდ შესცქეროდნენ. უცებ გაისმა ვანიას ოდნავ ხრინწიანი ხმა:

— მე!

— თანახმა ვარ, — მიუგო ფომინმა.

— მეც! — ასწია ხელი სიომინმა.

— ამას რად უნდა კითხვა? ყველანი წამოვალთ, — თქვა ისკრიბანოვმა.

ახლა უფრო ადვილი იყო სიარული. გაქელილი ისლი და ლელიანი უჩვენებდა გზას. უფრო გულდაჯერებულად და სწრაფად მიდიოდნენ. „ვინ იცის რატომ არ აფეთქდა, — ფიქრობდა ფომინი. — თუ ცუდადაა ჩადებული, ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ თუ გერმანელებმა აღმოაჩინეს? და კვალზე ძაღლები მოუშვეს...“ — ამის გაფიქრებაზე ტანში ბურძგლავდა.

ფომინი შეჩერდა. მებრძოლებს გადახედა. იქნებ დაბრუნება ჯობდეს? იქნებ არ ღირდეს რაზმის, ვანიას ასეთ საფრთხეში ჩაგდება. ეშმაკმა იცის რატომ არ აფეთქდა ნაღმი! ხომ ყოფილა შემთხვევა... მიეკარები და ერთ წამში გაგაქრობს!

ფომინმა ბიჭს შეხედა.

— დაბრუნდი, ვანია, ჩვენ აწი უშენოდაც მივალთ.

ბიჭუნამ მისკენ გადადგა ნაბიჯი.

— არა! — ოფლიანი სახე ხელისგულით შეიწმინდა და მტკიცედ გაიმეორა: — არა! მეც პარტიზანი ვარ.

ფომინი მზად იყო ეყვირა მისთვის. იქნებ ხელი მოეკიდა და ძალით დაებრუნებინა? ვუბრძანო? მაგრამ იმის დანახვაზე, როგორ გაირინდა გაჯიქებული ბიჭი, მიხვდა: ბიჭი არ დათმობდა, და მეთაურს მეტი სიტყვა აღარ უთქვამს.

ჯგუფი ბუჩქებში დარჩა, ფომინი კი სწრაფად გახოხდა სადგურისკენ.

— თუ რაიმე მოხდება, ტყეში შევხვდებით ერთმანეთს. — დაუბარა მებრძოლებს.

ვანიამ უცებ გაიძრო ხალათი და შარვალი. გაწურა, ჩაიცვა. გაიხადა დაფლეთილი ფეხსაცმელი, წყალი გადმოღვარა, გულმოდგინედ ამოწმინდა ბალახით და ჩაიცვა. ყველაფერ ამას გულმოსულად აკეთებდა, ყურადღებას არავის არ აქცევდა. მერე თავისი ფუთა მეთაურის ზურგჩანთის გვერდით დადო, ბუჩქებიდან გამოვიდა და ხვლიკივით გაცოცდა რკინიგზის ლიანდაგისკენ.

სიომინს უნდოდა შეეჩერებინა, მაგრამ ყველაფერი იმდენად სწრაფად მოხდა, რომ მისი დაბრუნება უკვე გვიან იყო, ბიჭი თხრილში დაიმალა.

ისკრიბანოვმა, რომელიც დურბინდით უთვალთვალებდა ფომინს, ახლა მზერა ბიჭზე გადაიტანა. იგი ფომინს მიუახლოვდა და რაღაც უთხრა, თან სადგურზე უჩვენებდა. ისინი ერთად მიცოცდნენ დაწყობილ განძელებთან. ივანე იქ დარჩა. ფომინი კი შემადგენლობისკენ წავიდა. დიდი სიფრთხილით მიაღწია ეშელონის შუამდე. მის პირდაპირ მეორე ხაზზე ღორღი უფრო ნათელი ჩანდა. ფომინმა ხელი გაიწოდა და მოსინჯა. ნაღმია! ფრთხილად გადააცალა ზედა ფენა, გახსნა ამფეთქებელი, იგი განზე აღმოჩნდა გაწეული. გაასწორა. მერე ნაღმი პირდაპირ ლიანდაგს მიაბჯინა, ღორღი წააყარა და ხოხვით წამოვიდა უკან.

პლატფორმაზე გაისმა ყვირილი, სროლა. სადგურიდან ფომინისკენ გამორბოდნენ გერმანელები. ფომინი მთლად მოკაკვული გადაახტა ლიანდაგს და განძელებისკენ გამოიქცა. თუ მოასწრებდა და მიწაყრილს გადაევლებოდა, მერე ჭაობში შეაფარებდა თავს.

იმ წუთში, როცა ფომინი განძელებს მოეფარა, მეორე მხრიდან ივანე გამოვარდა და აბანოსკენ მოუსვა. ვანია ეშელონების დაცვამ შენიშნა და დაედევნენ. ატყდა ყვირილი, სროლა.

ამასობაში ფომინი ბუჩქნარში შევარდა და ბრძანა: „არ ისროლოთ!“ ისკრიბანოვს დურბინდი ჩამოართვა და ბიჭს დაუწყო თვალთვალი.

აბანოდან ვანიამ ბაღჩებისკენ გადაუხვია, მწვანეში შეძვრა და ჩაიმალა. მერე ისევ გამოჩნდა. ახლა მისი თავილა მოჩანდა. ის ხან ჩაჯდებოდა, მიცოცავდა, მერე ისევ წამოხტებოდა და გარბოდა. დაბის თავში ბიჭუნა დაიკარგა და მეტი აღარ გამოჩენილა, ყვირილი და სროლა ახლა უკვე დაბიდან მოისმოდა, მერე სროლამ იკლო და ბოლოს სულ მიწყდა.

— გათავდა! — ამოიხვნეშა, თითქოს გული ამოაყოლაო, ფომინმა. — მორჩა! — და დაქანცული დაეშვა მიწაზე.

ბიჭის დაბისკენ გაქცევამ ფომინს აარიდა გერმანელები, მისცა თავის შეფარების საშუალება, მთელი ჯგუფი

იხსნა მტრის დევნისაგან. ეს ახლა ყველას კარგად ესმოდა. კარგახანს გაუნძრევლად ისხდნენ. მერე ისკრიბანოვი წამოდგა, მივიდა ფომინთან, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— იაკობ, წავიდეთ.

ნელა მიდიოდნენ. ფომინს აშინებდა სიჩუმე, თვალწინ ედგა ბიჭუნას გამხდარი ფიგურა. დაიჭირეს ივანე? მოჰკლეს? მას სულ ეჩვენებოდა, რომ აგერ-აგერ დაინახავდა ბიჭს, ჩაჰკიდებდა ხელს და აღარასოდეს მოიცილებდა...

ყველა დუმდა. ვერ ეპატიებინათ საკუთარი თავისთვის ბიჭუნას დაღუპვა.

მათ ზურგს უკან სადგურთან ახლოს გაისმა ბორბლების რაკუნი. ჯგუფი შედგა. ყოველ წამში ძლიერდებოდა ხმაური, სულ უფრო გარკვევით ისმოდა. შემადგენლობა ახლოვდებოდა.

უცებ ფეხქვეშ მიწა შეირყა, ამოიხვნეშა. გაისმა რაღაც მასიურის მძიმე გრიალი. ტყემ ხმა აიტაცა, გრიალის ექო გამოსცა. ჯერ ეს არ იყო მიწყნარებული, ახლა მეორედ იგრიალა, სადგურზე ავარდა შავი, სქელი ღრუბელი. მერე ეს ღრუბელი გაიშალა და მუქ სუდარასავით დაეკიდა სადგურის, დაბის და ტყის თავზე.

ჯგუფი კარგად გასცდა ვერეიცას, სადგურზე კი ისევ ბობოქრობდა ხანძარი. აფეთქებამ ცეცხლი მოუკიდა დახეთქილი ცისტერნებიდან გადმოღვრილ საწვავს. დაიწვა ფრონტზე მიმავალი ეშელონი. დაიწვა მეორე, დატვირთული ეშელონიც.

სოფელში ამფეთქებლები დიდხანს არ შეჩერებულან. ზეზეურად წაიხემსეს და რაზმის ბანაკისკენ გაეშურნენ. დღე ილეოდა. მზე ჰორიზონტზე დაეშვა. ირგვლივ ბალახის, ნორჩი სიმწვანის სურნელი ტრიალებდა.

ისევ უხმოდ მიდიოდნენ.

ბორცვზე წერტილი გამოჩნდა. ის ახლოვდებოდა, იზრდებოდა. ფომინი დაჟინებით დააცქერდა და იყვირა:

— ვანიუშა! — და მისკენ გაიქცა.

ძნელი იყო გარკვევა, რომელი უფრო სწრაფად გარბოდა: ბიჭუნა, ხშირი, პატარ-პატარა ნაბიჯებით, თუ ფომინი...



ს ი მ ო ნ შ ა მ ფ რ ი ა ნ ი

## მთები გეძახიან



— რა ხმა მოაქვს, ნეტავ, ნიავს
უჩინარი ფრთებით?
— მთები, მთები გეძახიან,
ცადაწვდილი მთები.

— ზღვას რა ვუყო? —
ისიც მელის
ტალღა-ტალღის ტაშით.
— ჯერ — ქედები ლურჯი, ჭრელი,
ჯერ — მშობლიურ მთაში!

— დღესვე ქალაქს მივატოვებ,
გავფრინდები ლაღად
და ენგურის ციცაბოებს
ავუყვები აღმა.

## სათიბში



ბარში ახლა მკათათვეა,
ყანებს მკიან,
აქ — თიბათვე ლესავს ცელს.
ცელის პირზე თეთრი მთები არეკლილა,
ნედლი თივის სურნელება მცემს.

ცელს გავყევი,
ფერდა-ფერდა გამიყვანა,
წევს სათიბი —
ასპარეზი მთიბველთა.
ერთმა მხარზე ხელი დამკრა,
დამიყვავა, —
ბეჭებიდან დაღლა ჩამომიბერტყა.

მკერდს მიგრილებს მყინვარების სიო,
მივთიბავ და
ზოლს მიჰყვება ზოლი;
მეწინავეს მინდა დავეწიო —
ვიყო გამრჯე ჭაბუკების სწორი.

მიიმღერის გრილ ბალახში ცელი,
ვეფხვის ტყავად მოჩანს გადათიბული...
თავს გვადნება მზე მაღალი, მწველი,
და ხევდახევ მიგუგუნებს მთიბლური.

პიონერია 50

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აქ მუდამ მხიარულებაა

თბილისი, ავჭალის გზატკეცილი, № 50;

ვარდისუბნის ქუჩა, № 1;

არბოს ქუჩა, № 2.

ასეთია მისამართი იმ სამი საცხოვრებელი სახლისა, თავს რომ დასცქერიან ერთ საერთო ეზოს, საიდაც ნიადაგ ხალისიანი ხმები გაისმის.

სულ რაღაც ათიოდე წლის ისტორია აქვს ამ ეზოს, მაგრამ იგი უკვე მრავალთათვის არის ცნობილი.

ათიოდე წლის წინათ წამოიმართა ამ ადგილას ხუთი და სამსართულიანი შენობები და ეს ეზოც პირველად აჰმიანდა ბავშვების მხიარული ჟრიამულით; ერთმანეთს გაეცნენ და დაუმეგობრდნენ ახალჩასახლებული გოგო-ბიჭები.

ერთი წლის შემდეგ, 1962 წლის აპრილში, გაზეთმა „ნორჩმა ლენი-

ნელმა“ გამოაცხადა კონკურსი „ვისი ეზოა უკეთესი?“ კონკურსს აღნიშნულ ეზოში მცხოვრები პიონერები მხურვალედ გამოეხმაურნენ.

სწორედ მაშინ შეიქმნა აქ პიონერული ფორპოსტი, სადაც 132 ბავშვი გაერთიანდა. მოწინავე პიონერებისაგან ჩამოყალიბდა ეზოს შტაბი.

— ჩვენი ეზოს არც ერთი პიონერი არ უნდა დარჩეს ფორპოსტის გარეთ;

— ჩვენს ეზოში მუდამ უნდა იყოს სანიმუშო სისუფთავე, წესრიგი. ყოველნაირად ვიზრუნოთ მისი კეთილმოწყობისათვის;

— ეზოდან განვდევნოთ მოწყენილობა, კინკლაობა, აურზაური, უსაქმურობა. აქ ყოველთვის უნდა სუფევდეს მხიარულება და მხიარულება.

ამ მოწოდებით მიმართა ეზოს შტაბმა ფორპოსტელებს.

ფორპოსტელებმაც, როგორც იტყვიან ხოლმე, მკლავები დაიკაპიწეს...

ჯერ ეზოს კეთილმოწყობას შეუდგნენ — მარადმწვანე მცენარეებითა და ყვავილებით გაალამაზეს.

ცალკე გამოყვეს სპორტული მოედანი.

შემდეგ შტაბის წევრები ლენინის სიხარულით ფრთაშესხმულებმა ახალი ენთუზიაზმით გააჩაღეს მუშაობა.

ჩამოაყალიბეს სიმღერისა და ცეკვის, ჭადრაკის, შაშის, ხელგარჯილობის და სხვა წრეები. საკუთარი წიგნებისაგან მშვენიერი ბიბლიოთეკა შექმნეს.

გამოუშვეს გემოვნებით გაფორმებული კედლის გაზეთი „ჩვენი ეზო“. (სხვათა შორის, „ჩვენი ეზო“ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში მოწყობილ კედლის გაზეთების გამოფენაზე სიგელით დაჯილდოვდა).

სულ მალე ფორპოსტის საქმიანობა ეზოს ფარგლებს გასცდა.

ვარდისუბნის ქუჩის ბოლოში აშმორებული ჭაობი იყო. ფორპოსტელებმა მისი ამოშრობა ითავეს. ჯერ იფიქრეს, მოდი, აქ ევკალიპტები დავრგათო, მაგრამ შემდეგ პატარ-პატარა არხების გაჭრა ამჯობინეს — უფრო მალე ამოშრებაო. ასეც მოიქცნენ და, სულ მოკლე ხანში, ბლანტი სითხე მტკვარში ჩაიწრიტა... ახლა ვერავინ იტყვის, ამ არემარეზე ოდესღაც ჭაობის მსგავსი რამ თუ იყო.

ასე დგამდა ფორპოსტი პირველ ნაბიჯებს...

ამჟამად 200-ზე მეტი ფორპოსტელი საქმიანობს აქ. ერთმანეთის გვერდით მეგობრულად ცხოვრობენ და საერთო საქმეს ერთგულად ემსახურებიან 132-ე, 133-ე, მე-15 საშუალო სკოლების პიონერ-მოსწავლეები.

— ჩვენი ეზოს ბავშვები ყოველმხრივ სამაგალითონი უნდა იყვნენ — სწავლაშიც, შრომაშიც! — ასეთია ფორპოსტის დევიზი.

კიდეც აღწევენ მიზანს. საკმარისია რომელიმე „თავისიანმა“ წაიზარმაცოს და ამა თუ იმ საგანში არასახარბიელო ნიშანი მიიღოს, რომ მთელმა ფორპოსტმა ლამის განგაში ატეხოს. რა ღონეს არ მიმართავენ ხოლმე ჩამორჩენილი ამხანაგის კვლავ წინ წამოსაწევად!.. ამიტომაც არის, რომ აქ მცხოვრებ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა სანაქებოდ სწავლობს და მშობლიური სკოლების სიამაყეა. აქტიური ფორპოსტელები: მაყვალა ადეიშვილი, ავთანდილ ლატარია, ალექსანდრე და ირაკლი ჩალაურები, ქეთინო სამხარაძე, ნაირა კოშაძე, მარინე ძაგაშვილი, პაატა მუხაძე, ქეთინო და ნინო გელაშვილები და სხვები წარჩინებითაც სწავლობენ და შრომა-

კვირადღეობით ეზოში მდგარი გრძელი მაგიდა ჭადრაკისა და შაშის დაფებით იფარება. იწყება ბრძნული თამაშის მოყვარულთა შეუპოვარი შერკინება...



დათო დევიძეს, პაატა მუხაძეს, ავთანდილ ლატარიას, მერაბ შინგუას, ირაკლი ჩალაურს „მომავალ კონსტრუქტორებს“ ეძახიან ტოლ-ამხანაგები და მეზობლები. ვინ იცის, იქნებ კიდეც გამართლდეს ეს წინასწარმეტყველება...

რაისაბჭოს აღმასკომს ეწვივნენ: რა ვქნათ, კლუბი გვჭირდება, მაგრამ საამისოდ ბინა არა გვაქვს და იქნებ თქვენ დაგვეხმაროთო. აღმასკომმა დაუყოვნებლივ გაუწოდა დახმარების ხელი — ეზოს ფორპოსტს ოროთახიანი კლუბი აუშენა.

შიაც მაგალითს აძლევენ ტოლ-ამხანაგებს.

ფორპოსტს თავისი „მატიანეც“ აქვს — მშვენივრად შედგენილი რამდენიმე ალბომი. ერთ-ერთ მათგანში ჩაკრულია ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილია ფორპოსტელთა მიერ მოწყობილი კარნავალები, საესტრადო ნომრები, ნორჩ მომღერალ-მოცეკვავეთა წრის საქმიანობა.

კარნავალების მოწყობა ამ ეზოში ტრადიციად არის ქცეული. სხვადასხვა ეროვნულ ტანისამოსში გამომოწყობილი პიონერები და ოქტომბრელეში მხიარული სანახაობებით, სიმღერებით, ცეკვა-თამაშობებით აღნიშნავენ ჩვენს სახალხო დღესასწაულებს, სასწავლო წლის დაწყებას, ფორპოსტის შტაბის ყოველ წლისთავს. ხმაშეწყობილად წკრიალებს საგუნდო სიმღერები: „მოდი, ერთად ვიმღეროთ“, „სამშობლო“... მომხიბლავად ცეკვავენ მზია და გია სოსელიები. საყვარელი პოეტების ლექსებს კითხულობენ ნორჩი დეკლამატორები: ფატი ლაბარტყავა, რამაზ ჟღენტი, ლალი ნიკასაძე, ნინო მელაშვილი, მარინე ყიფიანი. მაყურებლების წინაშე საკუთარი ლექსებით გამოდის ქეთინო მელაშვილი.

სამ ენაზე — ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად მღერის არევიკ მხითარიანი. ხმიანებს რუსული სიმღერებიც საშა და მიშა კარაკაშევების, ედიკ და ალიკ ბოიარსკების, ტანია მურზინოვასა და სხვათა შესრულებით.

საყოველთაო მხიარულება გამეფდება ხოლმე, როგორც კი კარნავალი დაიწყება. ვის არ ნახავთ აქ: „ბუდიონელებს“, „მუშკეტერებს“, „გრაფებს“...

საკარნავალო კოსტიუმებს ბავშვებს უსასყიდლოდ უკერავს დეიდა კიმა, როგორც მას სიყვარულით ეძახიან ფორპოსტელები. პატივცემული კიმა ამირხანოვა საქართველოში პიონერული მოძრაობის ვეტერანია. იგი ამ ეზოს ფორპოსტის ერთ-ერთი თაოსანი და ორგანიზატორია, მისი ყოველი წამოწყების სული და გულია.

ფორპოსტელები მხოლოდ საკუთარი ეზოთი როდი იფარგლებიან. ხშირად ესტუმრებიან ხოლმე იმ ფაბრიკა-ქარხნებს, სადაც მათი მშობლები მუშაობენ, და კონცერტებს მართავენ იქ. საწარმოთა კოლექტივებიც ვალში არ რჩებიან — გულითად მადლობას უხდიან და სამახსოვრო საჩუქრებით აჯილდოებენ ნორჩ შემსრულებლებს.

ფორპოსტელები აწყობენ კოლექტიურ სვლებს მოზარდ-მაყურებელთა და თოჯინების თეატრებში, ერთად უყურებენ ახალ კინოსურათებს, ხშირი სტუმრები არიან ეთნოგრაფიული და ხელოვნების მუზეუმებისა, სამხატვრო გალერეისა... ერთად ათვალიერებენ თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ფორპოსტის ერთ-ერთ ალბომში არა ერთი და ორი სიგელია ჩაკრული. „პიონერული მუშაობის, ბავშვთა თვითმოქმედებისა და ინიციატივის ფართოდ გაშლისათვის“ — წერია ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის, ლენინის რაიონის კომკავშირის კომიტეტის სიგელებში. აქვეა გაზის ხელსაწყოების ქარხნის, წინდების ფაბრიკის, ქარხანა „თბილელექტროგამშვების“ და სხვა საწარმოთა სიგელები. ყოველივე ეს ეზოს ფორპოსტის სასახელო საქმიანობაზე მეტყველებს...

მომავლისათვის კიდევ მეტი წარმატების მიღწევა აქვთ გადაწყვეტილი.

— ჩვენი ეზოს პიონერულ ფორპოსტს შეუნელებელ ყურადღებას აქცევს ლენინის რაიონის კომკავშირის კომიტეტი, კერძოდ, მისი პირველი მდივანი ნელი სვანიშვილი. ხოლო რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს. სარიშვილი კლუბისათვის უფრო მოზრდილი ოთახების მოცემას დაგვპირდა. მაშინ კიდევ უფრო ნაყოფიერად გაიშლება ფორპოსტელთა საქმიანობა, — ამბობს პატივცემული კიმა.

ხალისიანი, პიონერული ცხოვრება ჩქეფს ავჭალის გზატკეცილთან სამი შენობით შემოზღუდულ ეზოში. ამ ეზოდან მართლაც განდევნილია მოწყენილობა, კინკლაობა, აურზაური, უსაქმურობა... აქ მუდამ სუფევს მხიარულება და მხიარულება.



ს. ბეჩოელი.

ფოტო გ. დოლენჯაშვილისა.



# კუსალია

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ზაზა
ბაჩელაშვილი

მხატვარი
ლერი ფავლენიშვილი

ჩემი სოფლის დილა კუსალიის მთაზე ინთება. ვაშლისფერი მზე ამ გოლიათ მთას დილაადრიან გვირგვინად დაედგმება ხოლმე თავს.

გავრბივარ სკოლაში და ვხედავ, როგორ მიღიმის კუსალია. სკოლის ზარის წკრიალა ხმა მის მოწოდებად ჩამესმის ყურში: იჩქარე, ცანგალა ბიჭო, თორემ გაკვეთილზე გაგვიანდებაო. მეც სულმოუთქმელად გავრბივარ და ვხედავ, როგორ იხდის კუსალია თავიდან ბრიალა გვირგვინს. ასე მგონია გავიწვდი ხელს და გამოვართმევ ვაშლისფერ მზეს... მერე ეს მანათობელი გვირგვინი მთელი დღე ჩვენი სოფლის თავზე დაცურავს...

სკოლის კარს ალვისტანა იფნები მიღებენ შრიალით და ჩურჩულით მომძახიან: — გამარჯობა, ცანგალა ბიჭო, იჩქარე, იჩქარე, თორემ გაკვეთილზე დაგაგვიანდებაო. აქლოშინებული შევრბივარ კლასში და გაკვეთილიც იწყება.

დაფაზე დიდი რუკა ჰკიდია. ცალხელა ლადო მასწავლებელს, ყუმბარის ნამსხვრევებს გადარჩენილი ცაციათი, გრძელი ჯოხი უჭირავს და გვეკითხება:

— ვისი რიგია დღეს?

მთელ კლასს დავალება გვქონდა თავისუფალ თემაზე: ,,ჩემი სოფელი და მისი ბუნება‘‘. უნდა შეგვედგინა ჩვენი სოფლისა და მისი შემოგარენის გეოგრაფიული რუკა, ან დაგვეხატა ამ თემის შესაფერი სურათები. ზოგიერთმა ეს დავალება, კარგად თუ ავად, უკვე შეასრულა. იმ დღეს კი ჩემი რიგი იყო. მე კარგად ვხატავ, ამიტომ მეორე გზა ავირჩიე. დიდი ზომის ქაღალდები ერთმანეთს მივაწებე და გრაგნილი გავაკეთე. შემდეგ ეს გრაგნილი ჩვენი სახლის აივანზე გავშალე და მთელი თვე ვხატავდი. ჩემი ნამუშევარი კლასში რომ მივიტანე, ამხანაგები დამეხვივნენ, მაგრამ არავის ვაჩვენე. ყველა მოუთმენლად ელოდა გაკვეთილის დაწყებას. გრაგნილის გახსნა რომ დავიწყე, მთელი კლასი გაისუსა.

— გიგა, დურმიშხან, მიეხმარეთ ვახტანგს, — მიმართა ჩემს ამხანაგებს ლადო მასწავლებელმა და სამივემ გრძელი გრაგნილი კედელზე გავაკარით.

— რა ლამაზია! — აჩურჩულდნენ გოგონები. ჩემი ნახატით ყველა აღფრთოვანდა.

სურათის შუაგულში კუსალია აღმართულიყო, ვაშლისფერი მზის გვირგვინით, მის წვერთან კი კაკლის ხეებით შემოჯარული წმინდა ესტატეს თეთრი საყდარი იდგა. აქეთ-იქიდან გომბორის ქედი გრძელი მხრებით შემოხვეოდა ამ მთას... ხეობებსა და ღელეებში წყაროები და ჩანჩქერები მოჩუხჩუხებდნენ... ჰორიზონტზე კავკასიონი მოჩანდა... კუსალიის მთის ძირში კი გადაშლილიყო აყვავებული ხეხილის ბაღებში ჩაფლული ჩემი სოფელი...

გულმოდგინედ ვყვებოდი ამა თუ იმ ადგილის, ხევის, მდინარის შესახებ. მოყოლა ასე დავასრულე:

— ამ თვალწარმტაც ბუნებაში ჩვენთვის ბევრი რამ არის უცნობი. კარგი იქნება, თუ მოვაწყობთ ლაშქრობებს და უფრო უკეთ გავეცნობით ჩვენს მხარეს...

— შენ რას შემოგვთავაზებ? — მკითხა ლადო მასწავლებელმა.

— თუნდაც კუსალიის მთა დავლაშქროთ, მასწავლებელო.

— კარგი წინადადებაა, — მიპასუხა და ცაციათი შუბლი მოისრისა, — მაგრამ ამ ლაშქრობაში ჩვენი სკოლის ყველა პიონერმა უნდა მიიღოს მონაწილეობა.

გაკვეთილის შემდეგ პიონერხელმძღვანელი მოვიწვიეთ კლასში და ჩვენი გადაწყვეტილება გავაცანით. მეორე დღეს კი რაზმეულის საბჭომ იმსჯელა ამ საკითხზე. გადაწყდა მოგვეწყო კუსალიის მთაზე ლაშქრობა.

ლაშქრობის მთელი ორგანიზაცია ჩვენს კლასს დაევალა. ჯარასავით დავტრიალდით. სასწრაფოდ გამოვუშვით კედლის გაზეთი, მოწოდებით — „შევისწავლოთ ჩვენი მხარე", ყველა კლასს მივეცით დავალება: ვის კარვები უნდა წამოეღო, ვის — ცული ან წალდი, ვის — საგზალი, ვის — წყლის ჭურჭელი და სხვა ამისთანა საჭირო საგნები.

მთელი კვირა ვემზადებოდით და სულ იმის შიშში ვიყავით, არ გაავდრებულიყო. და აი, დადგა კვირადღეც. კამკამა დილა გათენდა.

სოფლის ორღობეები უკან მოვიტოვეთ და კუსალიის მთის გრძელ აღმართს შევუდექით. თან გვახლდნენ პიონერხელმძღვანელი და ლადო მასწავლებელი.

კუსალია განთქმულია საძოვრებით, მის ფერდობებზე მსუყე ბალახი ხარობს. ჩვენი სოფლის ძროხები მთელ დღეს აქ ძოვენ ბალახს და საღამოს სავსე ჯიქნებით ბრუნდებიან შინ.

აღმართი რომ გავანახევრეთ, შევისვენეთ. ჩვენს პირდაპირ ნახირი შესეოდა ფერდობს. ძროხები თავაუღებლივ ძოვდნენ. ხმაურზე ზოგიერთმა თავი ასწია, წამით შემოგვხედა და კვლავ ძოვა განაგრძო. ჩვენი ძროხა, რომელსაც წაბლას ვეძახდით, ნახირს გამოეყო და დიდრონი თვალებით მოგვაშტერდა. ალბათ გაუკვირდა, ეს გოგო-ბიჭები საით მიიჩქარიანო.

— წაბლა, ჩემო წაბლა. — გავძახე მე. ნაცნობი ხმა რომ გაიგო, ჩვენკენ წამოვიდა. ყელმოღერებული გვათვალიერებდა. მივხვდი, რომ მე მეძებდა. სირბილით მივიჭერი მასთან, მოვეფერე, დიდ მუცელზე ხელი მოვუთათუნე. დღედღეზე ხბო უნდა მოეგო.

წაბლას ერთი სასაცილო ამბის გამო მთელი სკოლა იცნობდა. მოსწავლეები გარს შემოგვეხვივნენ, შარშანდელი ამბავი გაიხსენეს და ატყდა სიცილ-კისკისი.

— ვახტანგ, ქოჩორი გაგწეწია, აალოკინე, დაგიხუჭუჭდება. — მომაძახა შავტუხა იზამ და გადაიხარხარა. ატყდა ერთი ხორხოცი.

— ბიჭებო, ვისაც ამ დილით ქოჩრის დავარცხნა დაგავიწყდათ, მიდით, წაბლა დაგივარცხნით! — არ ცხრებოდა იზა.

— ხმა გაკმინდე. — მივაძახე გაბრაზებულმა.

შარშან მე და ჩემს ამხანაგებს უცნაური ამბავი შეგვემთხვა. სკოლაში ქოჩრის ტარების ნება დაგვრთეს; ჰოდა, ვინ როგორ დაიყენა ქოჩორი, ვინ კიდევ — როგორ. მე სწორი, მოკლე თმა მქონდა და ზღარბივით მებურძგნებოდა, განსაკუთრებით — შუბლზე. შევნატროდი იმ ბიჭებს, ხუჭუჭა თმა რომ ჰქონდათ. ერთხელ, უფროსკლასელმა სოსომ მითხრა: ძროხას აალოკინე ქოჩორი და ჩემსავით დაგიხუჭუჭდებაო.

— მართალს ამბობ? — ვკითხე დაეჭვებულმა.

— რა თქმა უნდა! მეც ჩვენს ძროხას ავალოკინე. — სერიოზულად მიპასუხა.

ეს ამბავი ბიჭებს ვუთხარი და მეორე დღეს წაბლა მენახირეს აღარ გავატანე სამწყესურში. ბოსტნიდან ბლომად შალაფა და ძურწა ბალახი მოვზიდე, წაბლას დავუყარე და სკოლაში გავიქეცი.

გაკვეთილების შემდეგ ბიჭებთან ერთად დავბრუნდი შინ და წაბლა საბძლის უკან გავიყვანე. ყველანი მის წინ ერთ რიგად დავაჩოქე. სულ წინ მე დავდექი მუხლებზე. მივუშვირე თავი და ქოჩორი დრუნჩზე ავუსვ-ჩამოვუსვი, მაგრამ წაბლა აზრზედაც ვერ მოვიდა, თუ რა მინდოდა.

— ასე არაფერი გამოგვივა, — მითხრა დურმიშხანმა, — რაღაც უნდა მოვიფიქროთ.

— ძროხას მარილი უყვარს! — წამოიძახა გიგამ.



— მერე რა, რომ მარილი უყვარს? — შევეკითხე.

— თუ ქოჩრებზე მარილს დავიყრით, უეჭველად გაგვლოკავს.

მაშინვე შინიდან მარილი მოვარბენინე, ყველას ცოტ-ცოტა დავაყარე ქოჩორზე. ერთი პეშვი მეც დავიყარე, შემდეგ ისევ დავიჩოქე ძროხის წინ და თავი დრუნჩზე მოვუსვი. წაბლამ ლოკვა დამიწყო. მისი ხაოიანი ენა შუბლს მიცქვლეფავდა. პირუტყვი თანდათან მადაზე მოვიდა და გრძელ ენას გულმკერდზე, სახეზე და თავზე ისე მიტყაპუნებდა, თითქოს ბებიაჩემი თალიკო თონეში ლავაშებს აკრავსო.

— გეყოფა! — ხელი მკრა გიგამ და ჩემი ადგილი თვითონ დაიკავა. შემდეგ სხვებსაც მოუწია რიგმა... წაბლამ არავის არ აწყენინა, ყველა ერთნაირი მზრუნველობით გალოკა.

თერთმეტი სახეაწითლებული ბიჭი ალმაცერად მიყურებდა... თმებზე ძროხის ნერწყვი უბრწყინავდათ. ისეთი სასაცილონი იყვნენ, თავი ძლივს შევიკავე, რომ არ ავხარხარებულიყავი. მივხვდი, რომ სოსომ გაგვამასხარავა. ძროხა მარილიან ენას სახეზეც გვისვამდა, რის გამოც თვალები აგვეწვა. თითქოს სატირალში ვყოფილიყავით, ისე ღაპაღუპით ჩამოგვდიოდა ცრემლები.

— აქ რას აკეთებთ?! — წამოგვადგა თავზე ბებიაჩემი.

— გვიშველე, თალიკო ბებია! — თითქმის ტირილით მიმართა რამაზმა.

ბებია მიხვდა, რა ყოფაშიც ვიყავით და შეიცხადა: უი, დამიდგეს თვალები, ეს რა დაგმართნიათო, და მუხლებზე შემოირტყა ხელები.

— ბები, წყალი მოგვიტანე, რომ თავ-პირი მოვიბანოთ. — ცალყბად ვუთხარი მე. ვიგრძენი, რომ ვეღარაფერს ვხედავდი. ბრმასავით დავიწყე სახლისაკენ გზის გაგნება, მაგრამ შუბლი საბძლის ბოძს ვატაკე...

— მიშველეთ, მეზობლებო, ბავშვები დამიბრმავდნენ! — აკივლდა ბებიაჩემი.

— წყალი მოგვიტანე, წყალი, რომ თავ-პირი მოვიბანოთ! — ავღრიალდი მოთმინებადაკარგული.

ხმაურზე მეზობლები მოცვივდნენ და შეიქმნა ერთი ალიაქოთი. ყველანი ვიშვიშებდნენ და კოკებით წყალს მოარბენინებდნენ. ჩვენს წინ თანაკლასელი შავტუხა იზა იდგა და გულიანად კისკისებდა.

,,ნეტავი ეს ალქაჯი არ შეგვსწრებოდა, — გავიფიქრე, — მაგის ენას რა გადაურჩება, მთელს სკოლასა და სოფელს მოსდებს ამ ამბავს!"

თავ-პირი დაგვებანინეს და ნელ-ნელა მხედველობაც დაგვიბრუნდა... დამნაშავეებივით ვიდექით, დანა პირს არ გვიხსნიდა...

მეორე დღეს იზამ ეს ამბავი მთელ სკოლას მოსდო და ჩვენს თავზე დაცინვის კორიანტელმა გადაიარა.

მთელი რაზმეული ახლაც ჩვენზე იცინოდა. გიგამ და ხვთისომ იყვირეს, გეყოფათო, მაგრამ ყველას ხომ ვერ გააჩუმებ? ბოლოს, როგორც იქნა სიცილი დაცხრა.

რაზმეული მოკლე ნაბიჯით მიიკვლევდა გზას აღმართზე.

საყვირის ყიჟინითა და დოლის ბაგაბუგით ავედით კუსალიის წვერზე. ჩვენს წინ გადაიშალა კახეთის ზეგანი და გომბორის ქედი. შორს, იისფერ ნისლებში, ჭერმის მთა კიაფობდა.

მთის წვერთან წმინდა ესტატეს თეთრი საყდარი დგას. საყდრის ეზოს დიდრონი კაკლის ხეები ჩრდილავს. ხეებქვეშ კარვები დავდგით და ვისაუზმეთ. მერე ლადო მასწავლებელი ბიჭებს ტყისაკენ გაგვიძღვა, რომ შეშა-ფიჩხი მოგვეტანა კოცონის დასანთებად. შევესიეთ ტყეს. წიფლნარებში ნაკაფისა და გამხმარი ფიჩხის მოგროვება დავიწყეთ. ზოგნი ვაგროვებდით, კონებად ვკრავდით, სხვები კი ეზიდებოდნენ. ორიოდე საათში კაკლების ქვეშ შეშა-ფიჩხის ზვინები დავდგით. შევარჩიეთ ადგილი და დავიწყეთ საკოცონო ზვინის დადგმა.

ნაშუადღევს მზე ცის კენწეროზე შემოსკუპდა. ჭერმის მთიდან მზის შესახვედრად პაწია თეთრი ღრუბელი დაიძრა, წამიერად თითქოს შეეტყუპა, მერე კი ფარფატით გადასერა ლურჯად მოლივლივე ცა. ვინატრე, ნეტავ ამ პაწია ღრუბელს უფრო დიდი ღრუბლები მოყვნენ, რომ მზის მცხუნვარება ნაწილობრივ მაინც გაანელონ-მეთქი.

მენახირემ ნახირი ამორეკა. დასიცხული პირუტყვი კაკლის ჩრდილში დაეყარა.

საკოცონო ზვინი უკვე მზად იყო.

ამ დროს იქ, სადაც მდინარე ლაკბე შოლტივით იკლაკნება, ხეობაში თოფმა იჭექა. მისმა ხმამ მთები შეაზრიალა და ექო რამდენჯერმე გამეორდა. კარგად გავარჩიე: თოფშემართული ბიჭი ტყიდან კოჭლობით გამოვარდა და მაყვლის ბუჩქებიდან რაღაც გამოათრია; მივხვდი, რომ კურდღელი მოენადირებინა. ბიჭიც ვიცანი. არ მესიამოვნა მისი გამოჩენა.

ეს ბიჭი მენახირე ხოსიას შვილიშვილი შიო იყო. იგი ოდნავ კოჭლობდა. მაღალი იყო. გადაბმული წარბების ქვეშიდან მუდამ ჯიუტად იმზირებოდა. ყველას გვეშინოდა მისი. ამიტომ ყოველთვის ვცდილობდით ჩხუბის საბაბი არ მიგვეცა. მეექვსე კლასში რომ გადავედით, მეორედ მოუჯდა ერთსა და იმავე მერხს. გაკვეთილებს მაინც ხშირად აცდენდა. ბევრს არიგებდნენ მასწავლებლები, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ფიზკულტურაში ჰყავდა ხუთიანი: საუკეთესოდ გარბოდა, ჭიდაობდა და მიზანში ზუსტად აჯენდა ტყვიას.

უნებურად მენახირეს გადავხედე. იგი კაკლის ხესთან მიწოლილიყო, თავქვეშ გახუნებული ფარაჯა ამოედო და თვლემდა.

შიო უკვე კუსალიის წვერზე ამოვიდა. თოფი მხარიღლივ გადაეკიდნა, მკერდი გაეღეღა და სტვენით, არხეინად მოალაჯებდა, გასისხლიანებული კურდღელი თავდაყირა ეკიდა ქამარზე.

— ჭრიჭინებო, ეს რამხელა ფიჩხის გორა დაგიდგამთ, კოცონი უნდა დაანთოთ? — დაუდევარი კილოთი დაიწყო შიომ. ჩვენ ხმა არ გავეცით.

— გაგიოხრებიათ ტყე! ამოდენა ფიჩხი რამდენ თონეს გაახურებდა! — განაგრძო ვითომდა საქმიანი ლაპარაკი.

— ტყეში აუარებელი ფიჩხია, ვისაც რამდენი უნდა წაიღოს, ვინ უშლის! — ვეღარ მოვითმინე და შევეპასუხე.

— ეგ რომელი აჭრიჭინდა, შენა? — ალმაცერად შემომხედა.

მთელ სხეულზე კუნთები დამეჭიმა. დასახვედრად მოვემზადე. ამჯერად შიო ჩხუბს მოერიდა, რადგან კარვებთან მოფუსფუსე ლადო მასწავლებელს მოჰკრა თვალი.

შიომ ზურგი შეგვაქცია, მძინარე პაპამისს წაადგა თავზე, ბალახი მოწყვიტა და მოხუცს ცხვირში შეუღიტინა: მოხუცი შეიშმუშნა და ხმამაღლა დააცემინა, შიო კი ახარხარდა.

— მომასვენე, შე ოხერო შენა! — შეუტია გამოღვიძებულმა ხოსიამ შვილიშვილს. — აბა, შენგან რა კაცი უნდა დადგეს, ვის რა ავნო, იმაზე გიჭირავს თვალი. სწავლით შენ არა სწავლობ, საქმე შენ არ გიყვარს. გადაგიკიდია მხარზე მამაშენისეული თოფი და წარამარა აჭახუნებ, ნადირსაც არ ასვენებ.

შიომ პაპის გაბრაზება არაფრად არ ჩააგდო, მოკლული კურდღელი ფეხებთან დაუგდო, ამაყად გაეჭიმა და უთხრა:

—— აბა, გასინჯე, შიგ ყურის ძირში მოვარტყი, დღეს ესეც გვეყოფა, ხვალ კი ვნახოთ.

— რა გენადირება, როცა უსწავლელი და რეგვენი რჩები! აბა, შეხედე ამ ბიჭებს: სწავლობენ, შრომობენ.

შიო უხერხულად იღიმებოდა, ნაძალადევი სიმშვიდით ელოდა, როდის გაათავებდა ხოსია პაპა ლაპარაკს. მოხუცი კიდევ უფრო გაცეცხლდა, როცა შიომ უდარდელი სტვენა გააბა.

— დამეკარგე აქედან! — იყვირა მოთმინებიდან გამოსულმა ხოსიამ და გრძელი კომბალი მოუღერა. შიო სწრაფად გახტა განზე, შენიშნა, რომ ლადო მასწავლებელი ჩვენკენ მოდიოდა. თავქუდმოგლეჯილი ჯაგებს გადაევლო და ტყეში გაუჩინარდა...

ლადო მასწავლებელმა სასმელი წყლის მოტანა დაგვავალა. მე, რამაზი, დურმიშხანი, ღვთისო, გიგა და ჯემალი მდინარე ლაკბისაკენ დავეშვით.

ნელი ნაბიჯით მივდიოდით, არ გვეჩქარებოდა, საღამომდე კიდევ ბევრი დრო იყო. ტყეში ჩიტები სხვადასხვა ჰანგზე გალობდნენ. ერთგან მელაკუდამ ცუნცულით წინ გადაგვირბინა. ჩვენ ყიჟინა დავეცით. დაფეთებულმა მელამ შამბნარს შეაფარა თავი.

ამასობაში მდინარის ჩხრიალიც შემოგვესმა. უცებ ღვთისომ შეგვაჩერა:

— შეხედეთ, შეხედეთ, შველი ნუკრით!

შევჩერდით. შველი მშვიდად მიაბაკუნებდა მდინარისაკენ ჩამავალ ბილიკზე. ყავისფრად დაწინწკლული ნუკრი კუნტრუშით მისდევდა. ვიცოდით, რომ გომბორის ტყეებში შველი, მურა დათვი, მგელი და ათასი სხვადასხვა ცხოველი ბინადრობდა, მაგრამ მელიისა და ციყვის გარდა საკუთარი თვალით არც ერთი არ გვენახა; ახლა კი ჩვენი აღტაცება უსაზღვრო იყო. პატარა გორაკს ამოვეფარეთ, რომ შეუმჩნეველი ვყოფილიყავით. დიდხანს ვუმზერდით დედა-შვილს. ორივენი მდინარის ცივ წყალს დაეწაფნენ.

უცებ შველმა ყურები ცქვიტა, აქეთ-იქით მოავლო თვალი, თითქოს საფრთხის მოახლოება იყნოსაო. ჩვენც თვალები გავაფაციცეთ და შიოს არ მოვკარით თვალი! იგი ფეხაკრეფით,



ქურდულად ეპარებოდა ტყის დედოფალს. თოფი მოემარჯვებინა და წუთიწუთზე ალბათ ტყვიაც გავარდებოდა.

— არ ესროლო! — ვიყვირე მე. ყვირილზე შველი დაფრთხა, ნუკრიც აედევნა და ხშირ ტყეში უკვალოდ გაქრნენ. შიო პირში ჩალაგამოვლებული დავტოვე. ვიცოდი, რომ არ მაპატიებდა. მართლაც, დაბოღმილი შიო ჩვენკენ გამოემართა. ყველა კრიჭაშეკრული იდგა.

—— ვინ იყვირა? — მრისხანედ იკითხა და მომნუსხველი მზერა გვესროლა. არავის კრინტი არ დაუძრავს.

— ვინ იყვირა-მეთქი! — უფრო აილეწა შიო.

— მე ვიყვირე! — მივუგე მე, და ისე მშვიდად გავუყარე თვალი თვალში, რომ შიო გაოცდა.

— სტყუი! შენ იყავი, არა? — მივარდა რამაზს და სილა გააწნა, რამაზი ძირს დაეცა და ცხვირიდან სისხლი წასკდა. ამ სანახაობაზე ყველაფერი დამავიწყდა, გააფთრებული ვეცი შიოს. ასეთ შეტევას იგი არ მოელოდა და დაიბნა, მაგრამ მალე გონს მოეგო, მკლავები შემომხვია, თვითონაც წაიქცა, მეც წამაქცია და ზემოდან მომექცა, ახლა კი გამიჭირდა; შიო ჩემზე უფროსიც იყო და ღონიერიც.

— მივეშველოთ! — იყვირა ღვთისომ და... რამდენიმე წუთის შემდეგ სახედალილავებული და იარაღაყრილი შიო ჩვენს წინ თავდახრილი იდგა.

თოფიდან ვაზნა ამოვიღე, თოფი მხარზე გადავიკიდე და ბიჭებთან ერთად მდინარეზე ჩავედი. თავ-პირი მოვიბანეთ, დავისვენეთ, თუნუქის ჭურჭელი წყლით გავავსეთ. უკან რომ ამოვიარეთ, შიო აგვედევნა, გვეხვეწებოდა, თოფი დამიბრუნეთო. არც ერთს ხმა არ გაგვიცია მისთვის.

ეს ამბავი ყველამ გაიგო, მენახირის გარდა. გვინდოდა ხოსია პაპასთვის გადაგვეცა თოფი, მაგრამ მას ნახირი უკვე საძოვარზე გაერეკა. ამიტომ თოფი ლადო მასწავლებელს ჩავაბარეთ.

მოსაღამოვდა. ცაზე ღრუბლები გამრავლდა და ნაადრევად შებინდდა. მთის ფერდობზე შეფენილმა ნახირმა სოფლისკენ იბრუნა პირი. საყდრიდან კარგა მოშორებით შიო ბალახებში ჩამჯდარიყო და ნაღვლიანად იყურებოდა ჩვენკენ... სადღაც ყრუ ქუხილი გაისმა. ქარმა დაუბერა და ხეთა ტოტები შეაშრიალა. ცოტა ხნის შემდეგ წვიმა წამოვიდა და ჩვენს თავზე მძლავრად დაიქუხა. ყველანი საყდარში შევცვივდით. „შიო!“ — გამახსენდა უცებ. გარეთ გამოვვარდი, მაგრამ შიო აღარა ჩანდა; სოფლისკენ დაქანებულ ბილიკს გავხედე: შიო თავქუდმოგლეჯილი ჩარბოდა... ისევ საყდარში დავბრუნდი. წვიმამ იმატა. ელვის ენები საყდრის ვიწრო სარკმლებში იკლაკნებოდნენ. ჩირაღდანი ავანთეთ და საყდარი განათდა. აღარ ვიცოდით რა გაგვეკეთებინა. ყველანი წვიმის გადაღებას ველოდით.

ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ საყდრის თაღოვან კარებში ვიღაც გალუმპული, მაღალი ბიჭი აისვეტა. მას ხელში ახალშობილი ხბო ეჭირა.

— შიო! — შევძახე გახარებულმა.

შიო ჩვენკენ გამოემართა, პატარა ბოჩოლა წინ დამისვა და ძლივს წაილუღლუღა:

— თქვენმა ძროხამ მოიგო!

თურმე შინ რომ გარბოდა, იქ, სადაც მაყვლის ბარდები და ჯაგნარი სერავს მთის მდელოებს, შიოს ძროხა შეუნიშნავს. ახლოს რომ მისულა, ჩვენი წაბლა უცვნია და ხბოც დაუნახავს; უფიქრია, წვიმა ბოჩოლას დაახრჩობსო და, რადგან სოფელი შორს იყო, აუყვანია ბოჩოლა, გამოსძღოლია წაბლას წინ და თავსხმა წვიმაში ორივენი საყდარში მოიყვანა.

წაბლამ ზმუილით შემოყო თავი კარებში, შვილს ეძებდა. მივვარდი და ხელის ალერსიანი ტყაპუნით შიგნით შემოვიყვანე. ძროხა ბოჩოლას მიეალერსა და ლოკვა დაუწყო. ბიჭები და გოგონები რკალად შემოგვეერტყნენ; ყველას უნდოდა ბოჩოლას მოფერებოდა.

შიოს მადლობით გადავხედე. სულ გადამავიწყდა, რომ ნაჩხუბრები ვიყავით; შევაჩნიე, — შიო მთლად სველი იყო, ფერი დაკარგვოდა და ტუჩები გაცრეცოდა. გარეთ გავვარდი. ერთი ფიჩხის კონა შემოვათრიე. ბიჭებიც მომეშველნენ, საჩქაროდ ცეცხლი დავანთეთ, შიოს ხალათი და შარვალი გავხადეთ, ლადო მასწავლებლის ტყავის ქულაჯა წამოვასხით და ტანსაცმელი გავუშრეთ.

ამასობაში წვიმამაც გადაიღო. ყველანი გარეთ გამოვცვივდით.

ლადო მასწავლებელმა ბრძანა კოცონის ასანთებად მოვმზადებულიყავით, გაისმა საყვირის ხმა, მთელი რაზმეული მოეწყო... შიოც გამოვიდა საყდრიდან და კედელს აეყუდა. მივხვდი, რომ იმასაც ჩვენთან ერთად რიგში დგომა უნდოდა; გამოგვყვეს მეჩირაღდნეები. გაიცა ბრძანება: „აინთოს პიონერული კოცონი!“ ბიჭებმა ცეცხლი მოვუკიდეთ ჩირაღდნებს. მე ერთ წამში შიოსთან გავჩნდი, ანთებული ჩირაღდანი ხელში შევაჩეჩე და შევძახე, შენ დაანთე-მეთქი კოცონი. შიომ დაბნეულად შემომხედა. „შენ დაანთე კოცონი!“ — გავუმეორე. შიომაც აღარ დაახანა, გავარდა და მოგიზგიზე ჩირაღდანი საკოცონე ზვინს შუაგულში შეუყარა. მას სხვა მეჩირაღდნეებიც მიჰყვნენ. სველმა ფიჩხმა ტკაცა-ტკუცი დაიწყო და რამდენიმე წუთში აბრიალდა კოცონი; მთელი კუსალიის მწვერვალი ალისფრად განათდა... ავტეხეთ ყიჟინა. ყველა ჩვენგანის გული გამოუთქმელი სიხარულით იყო სავსე. კუსალია ზღაპრულ მთასავით ელავდა...

ინათა თუ არა, რაზმეული შინ დასაბრუნებლად მოეწყო. შიო ჩემს გვერდით იდგა. ლადო მასწავლებელმა თოფი მოიტანა და კარგა ხანს დუმდა. მთელი რაზმეული გაისუსა.

— შიო ზედელაშვილო, ჩემთან! — გაისმა ლადო მასწავლებლის მტკიცე ხმა.

შიო ნელი ნაბიჯით გავიდა და მის წინ გაჩერდა. ლადო მასწავლებელმა ყველას გადმოგვხედა; ერთ წუთს ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

— ეს თოფი მამაშენისა იყო, — ოდნავ გაბზარული ხმით დაიწყო ლადო მასწავლებელმა. — მე და მამაშენი ერთად გაგვიწვიეს სამამულო ომში. ის გმირულად დაიღუპა. ახლა მამის თოფი მისმა შვილმა უნდა ჩაიბაროს. ოღონდ შვილს ამ თოფის ყადრი უნდა ჰქონდეს, რომ მამის სახელი არ შეარცხვინოს!...

ლადო მასწავლებელმა შიოს თვალი თვალში გაუყარა და თოფი გაუწოდა. შიომ თოფი მაგრად ჩაბღუჯა და მკერდზე მიიკრა. ლადო მასწავლებელმა ცაცია ხელი ლოყაზე მოუთათუნა და გაუღიმა. შიომაც გაიღიმა...

ახმიანდა საყვირი...

ახლადამოწვერილი ვაშლისფერი მზე შინისაკენ გზას გვილოცავდა...

# ახალი წიგნები

## ხარულა და ხარხარა

მორის ფოცხიშვილი

ხარულა, ხარხარა, ჭანჭიკელა, ცანგალა... ყველა გულკეთილმა და მხიარულმა თოჯინამ ამ პოემაში მოიყარა თავი. ენატკბილ ხარულას თან დააქვს სიხარულის სურა და ყველგან მხიარულება მიაქვს. ბოროტი ბლვერის თანამზრახველები ხარულას ამ სურას მოსტაცებენ და გადამალავენ. გახშირდება ოხვრა-კვნესა, აღარ ისმის სიცილ-ხარხარი... და აი, გამოჩნდა უშიშარი ხარხარა... როგორ გგონიათ, ბავშვებო, იპოვის ხარხარა სიხარულის სურას?



## სპარსული ზღაპრები

მსოფლიო ხალხთა ზღაპრების სერიას კიდევ ერთი კარგი წიგნი შეემატა — „სპარსული ზღაპრები“. ხალხურმა ფანტაზიამ ამ ზღაპრების გმირები დიდი ადამიანური თვისებებით შეამკო. სამშობლოსათვის თავდადებული გმირები გვხიბლავენ თავიანთი ვაჟკაცობით, გამბედაობით, გამრჯე მარჯვენითა და ფაქიზი მეგობრული გულით... ვისაც ზღაპრები უყვარს, ალბათ უთუოდ შეიძენს ამ წიგნს და თავისუფალ დროს ზღაპრების სამყაროში „გაემგზავრება“.




## „ქინაქინა“

დუტუ მეგრელი

დახედავ თუ არა ამ წიგნს, მაშინვე თვალწინ გაგიცოცხლდება შენი თანატოლი, პატარა მიხა, რომელიც საჩუქრის საფასურით ავადმყოფ დედისთვის წამალს ყიდულობს... ამ მოთხრობას აქვს თავისი საიდუმლო: რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხო, მაინც სიამოვნებით ივსები, უფრო გიცხოველდება დედის სიყვარული და თანაგრძნობა მისას მიმართ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედაქალაქის ხაზები



## მთაწმინდის ახალი იერი

ამ ცამეტი წლის წინათ მთაწმინდის პანორამას შეჩვეულ თვალს დიდად ეჩოთირა, ქათქათა შენობის გვერდით მაღალი სატელევიზიო ანძა რომ წამოიჭიმა. გავიდა ხანი. თანდათან ეს ჰაეროვანი ანძა ისე შეეზარდა მთაწმინდის ლანდშაფტს, რომ ვერც კი წარმოგიდგენია, თუ ამ ჭაღარა მთას საუკუნეების მანძილზე ანძა არ ამშვენებდა.

თავის დროზე ეს საკმაოდ პროგრესული ნაგებობა გახლდათ. იმხანად ჩვენში ტელევიზია ახალი ხილი იყო და ამ აჟურულმა ანძამ კარგი სამსახური გაუწია ახალფეხადგმულ ცისფერ ეკრანს. დღეს სხვა ამბავია. ტელევიზიამ გადალახა მთა-ბარი, საქართველოს უშორეს რაიონებსაც კი მისწვდა ცისფერი ეკრანის შუქი. ამასთან, გაჩნდა მრავალპროგრამიან გადაცემათა საჭიროებაც. ძველი ანძა ამდენს ვეღარ გასწვდა და გადაწყდა მთაწმინდაზე ახალი სატელევიზიო კოშკურის აგება. ახალ იდეას ზოგი სკეპტიკურად შეხვდა: შიშობდნენ, მთაწმინდის პლატო არ დამახინჯებულიყო (სხვათა შორის, გასულ საუკუნეში, სკეპტიკოსებმა ასეთივე მიზეზით ლამის იყო ჩაშალეს პარიზში ეიფელის კოშკის მშენებლობა. დღეს კი პარიზი უიმკოშკოდ ვეღარავის წარმოუდგენია). საქართველოს არქიტექტორთა საბჭომ მრავალ პროექტთაგან საგანგებოდ შეარჩია ეს ანძა, როგორც ყველაზე ლამაზი და მიმზიდველი. იგი დიდებულად შეერწყმება მთაწმინდის რელიეფს. მისი სიმაღლე 277,5 მეტრი იქნება, ცენტრალური ღერძის დიამეტრი კი 4 მეტრი. ტელეანძაზე დამონტაჟდება ორი ტექნიკური ნაგებობა. პირველი, ერთსართულიანი, 71 მეტრის სიმაღლეზე დაიდგმება. იქ მოთავსდება რადიო და ტელეაპარატურები. მეორე, უფრო ვრცელი, ორსართულიანი ნაგებობა, განლაგდება 155 მეტრ სიმაღლეზე, იქ სადაც ძირითადი და საყრდენი ღერძები შეერთდება. ამ კვანძიდან ისარივით ავარდება ღრუბლებში 122 მეტრი სიმაღლის ღერძი — ანტენა. ანძის აღმართვის შემდეგ ტელეგადაცემები უკვე სამი პროგრამით იწარმოებს, ამასთან, ერთი პროგრამა ფერადი იქნება. 4 პროგრამით დაიწყება რადიოგადაცემები ულტრამოკლე ტალღების დიაპაზონზე. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: ანძაზე დაიდგმება „ალტაის" სისტემის ანტენა, რომელიც მოძრავ ობიექტებთან რადიო-სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს.

ახალი ტელეანძა ტექნიკურად მეტად რთული ნაგებობაა. ლითონკონსტრუქციის საერთო წონა 1320,5 ტონაა. მის ასაწყობად დიდი სიზუსტეა საჭირო.

ალბათ შეამჩნევდით, რომ ანძასთან ამწე არ დგას (ანდა რომელი ამწე ასწვდებოდა ცაში ატყორცნილ ამ ნაგებობას!). მაშ, როგორ ხდება მისი დამონტაჟება? ამწე მთავარ ღერძზეა დამაგრებული. ამოიტანს ამწე ამ გიგანტური მილის ერთ მონაკვეთს, დაადგამს საყრდენს; მერმე ამწე ზევით „აჩოჩდება" და ახლა, ახალი ნაწილის ამოსატანად დაუშვებს გვარლებს... (სხვათა შორის, საქვეყნოდ ცნობილი ოსტანკინოს ანძაც ამ ამწუთი დამონტაჟდა).

ძველი ტელეანძა სამსახურს კვლავ გააგრძელებს. ახლა იგი ყვარელში დაიდგამს ბინას და მთელს აღმოსავლეთ საქართველოში დიდად აამაღლებს ტელეგადაცემათა მიღების ხარისხს.

## მუსიკის სასახლე

თბილისს კიდევ ერთი დიდებული არქიტექტურული, მხატვრული ნაგებობა შეემატა, ქალაქის ერთ-ერთ ხალხმრავალ გზაჯვარედინზე ლაღად გაშალა ფრთები ჰაეროვანმა, მსუბუქმა შენობამ, რომელმაც დიდად შეუცვალა სახე არე-მარეს, ხოლო შემოგარენის მომავალი რეკონსტრუქციის შემდეგ მთლად შესცვლის „ვერის უბანს".

ძნელია ჩამოვთვალოთ ფილარმონიის ახალი საკონცერტო დარბაზის ყველა ღირსება. მარტო შენობის გარეგნული, ორიგინალური ფორმა რად ღირს!

ასიმეტრიულად განლაგებულ კიბეს ვრცელ ვესტიბიულში შევყავართ. თვალს იტაცებს მუქი ფერის, ძვირფასი ქვით მოგებული იატაკი და თეთრად მოქათქათე სვეტები. საერთო ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებს ჭერში ორიგინალურად ჩადგმული ჭაღები. ვესტიბიულის ბოლოს მოჩანს დეკორაციული კედელი. ასევე ვრცელი და ნათელია ფოიე, მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი ამ შენობაში მაინც მაყურებელთა დარბაზია. სწორედ აქ ჩაუქსოვიათ ინჟინრებს, არქიტექტორებსა და ელექტრომექანიკოსებს უდიდესი ფანტაზია და უნარი. ამ დარბაზის ინტერიერის გადაწყვეტისას გარდა არქიტექტურულ-მხატვრული პრობლემებისა, იდგა პრობლემა შუა მოცულობითი სივრცის იდეალური გამოყენებით, შექმნილიყო შესაძლებლობა კარგი აკუსტიკური ჟღერადობისა. ეს პრობლემა იდეალურად არის გადაწყვეტილი. დარბაზის აკუსტიკური სისტემა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზეა. სავარძლის სახელურში ჩადგმული საგანგებო მოწყობილობა მსმენელს საშუალებას აძლევს 5 ენაზე მოისმინოს ამა თუ იმ ენის სინქრონული თარგმანი. საოცრად ორიგინალურად არის გადაწყვეტილი დარბაზის სცენის სისტემაც. ბუნებრივი აკუსტიკური ეფექტის შექმნის მიზნით, სცენაზე მოწყობილია ხმის ამრეკლავი ნიჟარა. (იგი სპეციალური აკუსტიკური ფარების ტრანსფორმაციის პრინციპით არის შექმნილი). ნიჟარა შედგება ოთხი აკუსტიკური ფენისაგან, ეს სცენის პლაფონია, რომელიც რვა მოძრავი აკუსტიკური პანელისაგან შედგება, ისინი ამავე დროს კულისებისა და ზურგის კედლის მოვალეობასაც ასრულებენ. ელექტრომამოძრავებელი უზრუნველყოფს მის სწრაფ სახეცვლას, რათა იგი ექსპლოატაციის ერთი რეჟიმიდან, სწრაფად იქნეს გადაყვანილი მეორე რეჟიმზე. კარგ აკუსტიკას ხელს უწყობს შეკიდული ჭერის ფორმებიც და ხის ლარტყებისაგან დამზადებული კედლის ფილები.


ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენის ეკრანის სიგრძე 27 მეტრია, სიგანე — 13. საორკესტრო ორმო მოძრავია. იგი შეიძლება დაიდგას, როგორც სცენის, ისე პარტერის იატაკის დონეზე.

მაყურებელთა მეორე დარბაზი ქვემოთ არის. მას ლენინის ქუჩიდან აქვს შესასვლელი, იტევს 650 მაყურებელს. იქვე მოთავსდება წიგნის მაღაზია, გასახდელები. მთელი შენობა მომარაგდება კონდენცირებული ჰაერით, ასე რომ, ზაფხულში იქ სიცხეს ვერ იგრძნობს მაყურებელი. ზემო სართულზე გახსნილია კაფე-ბარი, რომელიც, კიბეებს გარდა, ლიფტით დაუკავშირდება ქვედა სართულს.

სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის პროექტის ავტორია არქიტექტორი ივანე ჩხენკელი.

ფოტო გ. გოგოხიასი.

# ნინიკა კახელი

ნინიკა კახელი მდინარე ალაზნის გაღმა მხარეში დაიბადა და აღიზარდა. იგი ბავშვობიდანვე თავის ტოლამხანაგებში ღონითა და გულადობით გამოირჩეოდა. დაჭაბუკდა თუ არა, ისეთი მოჭიდავე დადგა, რომ მისი ბადალი ამ მხარეში არავინ იყო. კარგი ვაჟკაცის სახელი გაუვარდა ხალხში.

ნინიკა მწყემსი იყო. მართალია, ხანჯალს წელიდან არ იშორებდა, ისე როგორც მისი თანამოძმენი, მაგრამ, იფნის კომბალიც მუდამ თან დაჰქონდა.

XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში დაღესტნელ ავაზაკთა ბრბოები, თუმცა დაუძლურებულნი იყვნენ, კანტიკუნტად მაინც თარეშობდნენ კახეთში.

იმ დროს ავაზაკობით ცნობილი იყო ამწუხა ლეკი (ანუ ანწუხა. ამ სახელს იმიტომ ეძახდნენ, რომ იგი დაღესტნის ერთ-ერთი მხრიდან — ანწუხიდან იყო), რომელიც ამ მძარცველობით გამდიდრებულიყო და სხვებსაც აქეზებდა, მე მომბაძეთო.

ამწუხა ლეკს შვიდი ბიჭი წამოეზარდა და ამით კიდევ უფრო გათამამდა, შვილების იმედით თარეშობას მოუხშირა. თავს არ ზოგავდნენ კახელები, რომ მისი თარეშისათვის ბოლო მოეღოთ, მაგრამ ამწუხა, თავის ამყოლებთან ერთად, ისეთი გზებით უჩინარდებოდა, რომ მისი თვალისდამკვრელი არავინ იყო. მან ბევრის დედა აატირა, ბევრი მოტაცებული ქალ-ვაჟი დაღესტანში კარგ ფასად გაჰყიდა.

ერთხელ ამწუხამ შვიდივე შვილი თან წამოიყვანა საავაზაკოდ და კარგადაც დაგეშა.

ამის შემდეგ კიდევ დიდხანს ითარეშა ამწუხამ თავის შვილებიანად, მაგრამ, ნათქვამია: კოკა წყალს მუდამ არ მოიტანსო.

ერთ დღეს ამწუხა და მისი ვაჟები ტყისპირას ჩასაფრებულნი იყვნენ და მსხვერპლს ელოდნენ. მალე გზაზე ერთი ახოვანი ვაჟკაცი გამოჩნდა, რომელიც ხელში დიდ კომბალს ატრიალებდა და ხმამაღლა ექადნებოდა ამწუხასა და მის ვაჟებს. ეს ნინიკა კახელი იყო.

ამწუხას და მის შვილებს ამ მუქარის გაგონებაზე გულზე შემოენთოთ, მაგრამ მამამ შვილებს დაუშალა: არ გამოჩნდეთო. უმცროსს მაინც წასძლია სულმა და ნინიკას წინ გადაუხტა. ის იყო, ხმალი იშიშვლა, რომ ნინიკამ კომბალი შემოჰკრა თავში და უგონოდ დასცა ძირს, თან მის ხმალს წასწვდა, მაგრამ ამ დროს დანარჩენებიც გადმოხტნენ და გაიმართა უთანასწორო ბრძოლა. ნინიკამ კომბლით შვიდივე მოძალადე ერთმანეთზე მიაწვინა. შვილებს მამა მიეშველა, მაგრამ ამწუხასაც მოხვდა კომბალი და თავგახეთქილი დაეცა. როდის-როდის მოვიდა გონს. ძლივსძლივობით ტყეში შეხოხდა და შორიდან უყურებდა თავისი შვილების მწარე ხვედრს. მოვიდნენ კახელები, მკვდრები ურემზე დაყარეს, იარაღი აკრიფეს და გაბრუნდნენ. რამდენიმე დღე ტყეში ნაგდები ამწუხა ძლივს წალასლასდა შინ. ცოლმა მარტო ქმარი რომ დაინახა, ელდა ეცა და შვილებს ისიც თან გადაჰყვა.

გაუბედურებულმა ამწუხამ სახლკარი მიატოვა და კახეთის სოფლებში მათხოვრობა დაიწყო. კახელები ვერა სცნობდნენ მას და განუკითხავად არ ტოვებდნენ. ვერც ნინიკა სცნობდა. ბევრჯერ უყურებია ამწუხას ნინიკა კახელის ფალავნობისათვის. დაინახავდა თუ არა საჭიდაოდ გამოსულ გოლიათს, აგონდებოდა თავისი ოჯახის უბედურება, გული სინანულით ევსებოდა, სწყევლიდა თავის ავკაცობას და იქაურობას შორდებოდა.

ნინიკა კახელის გმირობის ამბავი ხალხმა თავის ხსოვნაში შემოინახა, ხოლო ცნობილმა ქართველმა ჟურნალისტმა ილია ხონელმა კახეთში ყოფნის დროს ჩაწერა და თავის ,,ესკიზებსა და ეტიუდებში", შემოუნახა მომავალ თაობებს.

ვახტანგ სიდამონიძე.

მხატვარი გაიოზ ფოცხიშვილი.



კანბაისი გეიო,
იაპონელი მწერალი.

მხატვარი
ლია სვანიძე

# ვარდის ქურდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

სკოლის კარწინ ვარდის ბუჩქზე ლაყლაყა წითელი ყვავილი ობლად გაშლილიყო. ერთ ღამეს ვარდი ვიღაცამ მოიპარა. ფრთხილად, დანით კი არ მოეჭრა, დაუნდობელ, ტლანქ ხელს მოეგლიჯა. მოგლეჯილი ადგილი ნაზ ყლორტზე უკვე ჩაშავებულიყო, იმ ადგილის ზევით და ქვევით ჭიანჭველები დარბოდნენ.

დილიდანვე სკოლაში წარმოუდგენელი ხმაური ატყდა. დირექტორმა მოწაფეები შეკრიბა. იგი ძალიან აღელვებული იყო. მოწაფეებს ამ მშვენიერი ყვავილისათვის დილიდან საღამომდის უნდა ედარაჯნათ და, როგორ მოაპარვინეს ვარდი!

დირექტორმა ოცი წუთი ილაპარაკა. მან განაცხადა: თუმცა ვარდს ვეღარ დავიბრუნებთ, მაგრამ ქურდი უნდა მოვიდეს და ყველაფერი გულწრფელად აღიაროს კლასის დამრიგებელთანო.

სკოლის სიამაყე იყო მის გარშემო გაშენებული ალუბლის ბაღიც. ორმოცდაათამდე ალუბლის ხე გარს შემოხვეოდა სკოლის შენობას. ყოველ წელიწადს, მოწაფეების მორიგი გამოშვების ცერემონიალის დროს, სტუმრები შესცქეროდნენ რა ამ „აყვავებული ალუბლის თოვლის ქარიშხალს“, ულოცავდნენ ახალგაზრდებს ცხოვრების გზას. სწორედ ასეთ დღეს დარგეს ვარდის ბუჩქი სკოლის კარწინ.

ბუჩქზე ლამაზი ვარდი ჰყვაოდა. პატარა ბავშვივით თავგადაწეული გაკვირვებით შესცქეროდა სამყაროს.

ეს ვარდი ვიღაცამ მოიპარა და ამით სკოლას მიაყენა შეურაცხყოფა.

ვარდი კი მოწაფე სენიტის სახლში სენიტის ავადმყოფ დაიკოს — იუმიეს მკერდზე ჭკნებოდა. იუმიე ხუთი წლისა იყო. იგი დახეულ ჭილოფზე იწვა, მამის ძველ კიმონოში გახვეული.

ამ სახლში ლამპა კი არა, სანთელიც არ ენთო. დღისით ქოხში ვარდი მაინც კაშკაშებდა, თუმცა უკვე ჭკნებოდა და მის კაშკაშსაც ფერი დაეკარგა.

მეხუთე კლასის მოწაფე სენიტი შეშინებული შინ მიიჩქაროდა, მას თვალწინ ედგა მასწავლებლისა და მოწაფეთა სახეები. ქოხში რომ შევიდა, მოეჩვენა, თითქოს იუმიეს მკერდზე ვარდმა წამით გაიელვა. სენიტიმ ზიზღით გადახედა მოპარულ ვარდს, შემდეგ იუმიეს მიუახლოვდა. დაიკოს არ ეძინა, მხოლოდ თვალები დაეხუჭა.

სენიტიმ ვარდს ხელი სტაცა.

— არ მოგცემ, არა! — გაიფრთხიალა უშველებელ კიმონოში გახვეულმა იუმიემ.

სენიტიმ ვარდს ფურცლები დააგლიჯა და ბნელ დერეფანში გადაყარა. იუმიემ ძმას საყვედურით გადახედა და კვლავ თვალები დახუჭა.

კედელთან, დახეული საბნის ქვეშ, მათი მამა კიხატი ახველებდა. სენიტიმ ჩანთა კუთხეში მიაგდო და შვიდი წლის ტოსიეს და იუმიეს შუა ჩაწვა. კიხატი წამოდგა და თაფლავაშლა მოხარშა.

კიხატი ხეიბარია, მარჯვენა ხელზე ოთხი თითი აკლია. ოთხი შვილის მამაა. ცოლი შარშან მოუკვდა. შვილები შიმშილობენ. მათ მხოლოდ ქათმები ჰყავთ. სენიტი კვერცხებს საფუნთუშეს მეპატრონეს აბარებდა, სამაგიეროდ ტკბილეულს იღებდა. კიხატის კიდევ ერთი შემოსავლის წყარო ჰქონდა: მისი უფროსი ქალიშვილი ფუძიე საფეიქრო ფაბრიკაში მუშაობდა და თვეში ხუთჯერ ცოტაოდენ ფულს უგზავნიდა მამას.

კიხატიმ ცხელი თაფლავაშლა ჯამში გადმოყარა და ბავშვები საჭმელად წამოაყენა. თვითონ კი ისევ საბნის ქვეშ შეძვრა.

მეორე დღეს, გაკვეთილების შემდეგ, სენიტი კლასში დატოვეს. იგი კლასის დამრიგებელ მაცუბარას წინაშე იდგა. უკვე გამოირკვა ვარდი ვინც მოიპარა.

მასწავლებელმა მაცუბარამ შუბლი შეიჭმუხნა და სენიტის უცებ თავში წკეპლა დაჰკრა. ბიჭი შეირხა, ლოყაზე ცრემლი ჩამოუსრიალდა.

— შენ მოიპარე ვარდი?

— დიახ, — იმწამსვე უპასუხა სენიტიმ.

სენიტიმ ხომ ვარდი თავისთვის არ მოიპარა, უნდოდა ავადმყოფი დაიკოსთვის მკერდზე დაებნია. ეტყობა, ვიღაცამ დაინახა და დაასმინა.

— რატომ იქურდე?

— იუმიესათვის.

— ვინ არის იუმიე?

— ჩემი უმცროსი დაიკოა.

— გაუხარდა?

— გაუხარდა, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— როცა ბრინჯის ბურთულები ან შემწვარი ბრინჯი მიმაქვს, უფრო უხარია ხოლმე.

ახლა მაცუბარამ თავის წინაშე ვარდის ქურდი კი არა, მშიერი ბიჭუნა სენიტი დაინახა.

— დღეს ისადილე?

— არა.

— ისაუზმე?

— მეზობელმა ცოტა შემწვარი ბრინჯი მომცა.

— მაშ გშიება.

— დიახ.

მაცუბარა შესცქეროდა სენიტის; ინანა, რატომ მოვექეცი ასე მკაცრადო.

— იცოდე, ვარდის მოპარვა არ შეიძლება.

— ვიცი.

— თუ ყვავილების დაკრეფა გინდა, შეხედე, რამდენი ყვავილია იმ მინდორში, — მაცუბარამ სენიტი ფანჯარაში გაახედა.

შორს მოჩანდა მინდორი. მინდორს გვერდით პატარა მდინარე ჩაუდიოდა, მის ნაპირებზე კვრინჩხის ბუჩქები იყო აყრილი. კვრინჩხის თეთრ ყვავილებს ისეთი მძაფრი სუნი აქვს, სულს შეგიხუთავს. ყვავილებზე პეპლები, ფუტკრები და კრაზანები დაფრინავენ.

— კვრინჩხის ყვავილები შეგიძლია დაკრიფო.

სენიტის არ მოსწონს თეთრი ყვავილები. მას ვარდი მოაგონდა და იგი უფრო დიდი და მშვენიერი ეჩვენა გონებაში.

მაგრამ სენიტიმ მაინც უპასუხა:



— დიახ.
— ახლა შეგიძლია შინ წახვიდე, — უთხრა მასწავლებელმა.
სენიტიმ თავი დაუკრა, ჩალის ზონრებაგლეჯილი სანდლები მხარზე გადაიგდო და სკოლიდან გავარდა.
მამამ ეს ამბავი ორი დღის შემდეგ გაიგო.
— სენიტი, შენ მოიპარე ვარდი?
სენიტი დუმდა.
— მოიპარე? თქვი!
სენიტის კვლავ არ ამოუღია ხმა.
— მიპასუხებ თუ არა? — დაიღრიალა კიხატიმ.
— მოვიპარე, — წაიბურტყუნა ბიჭუნამ.
კიხატი წამოვარდა და სენიტის სილა გააწნა. სენიტი წაიქცა და ტირილი მორთო.
— გაეთრიე აქედან! ჩემს სახლში ქურდები არ მჭირდება!

სენიტი მოიკუნტა და ოთახიდან გავიდა. ლერწმის ჭალაზე უშველებელი მთვარე ეკიდა. სენიტიმ მთვარეს შეხედა და ტირილი შეწყვიტა.
იგი უგზო-უკვლოდ მიდიოდა. უცებ მოესმა: მეზობელ სოფელში ბალაგანი ჩასულიყო და შუშხუნებს უშვებდნენ ცაში. ბიჭუნამ ბალაგანის ნახვა მოისურვა.
სენიტი თავის ამხანაგ მიტიოს სახლთან მივიდა. მიტიო თეთრ მესერზე იჯდა და კიტრსა ჭამდა, თან მთვარეს შესცქეროდა.
— მიტი-ტიან! — დაუძახა სენიტიმ.
— რაო?
— მიტი-ტიან, რა ამბავია სოფელში?
— აბა მე რა ვიცი!
— წამო, ვნახოთ.
— დედა ფულს არ მომცემს.
— ბავშვებს თურმე უფულოდ უშვებენ.
— მართლა?
— მართლა.
— მაშ, წავიდეთ, — მიტიო მესრიდან გადმოხტა.
ბალაგანს მიუახლოვდნენ. შესავალთან კონტროლიორი იდგა. სენიტიმ და მიტიომ სცადეს შეპარულიყვნენ, მაგრამ კონტროლიორმა მათ თავში ჩაafარა.
— უბილეთოდ არ შეგიშვებთ!
ბიჭებმა ბრაზით გადახედეს და წავიდნენ.
— სენიტი, უკან დავბრუნდეთ, — უთხრა მიტიომ.
— დავბრუნდეთ.
წყვდიადში თითქოს ერთ წერტილად იქცნენ.
— მიტი-ტიან, ძუძიდოზე გავიაროთ, — უთხრა სენიტიმ.
ძველ დროს ძუძიდოში ტაძარი იდგა, ახლა მის ადგილზე, მინდვრებსა და ბაღებს შუა, სასაფლაოა. ამ სასაფლაოზე სოფლისკენ გზა გადის.
— სჯობს შარაგზით წავიდეთ, — უთხრა მიტიომ.
— სასაფლაოზე სიარული სრულებითაც არ არის საშიში.
— საშიში არაფერია, მაგრამ ცუდი გზაა, — უპასუხა შეშინებულმა მიტიომ.
— სამაგიეროდ, მოკლეა.
წავიდნენ. შუა სასაფლაოზე სენიტი გაჩერდა და მიტიოს ერთ საფლავზე მიუთითა:
— აქ დედაჩემი ასაფლავია.
მიტიომ შიშით გადახედა საფლავს. პატარა ბორცვზე გახეთქილი ფილა იდო. მის გარშემო ჰორტენზიის ბუჩქნარი ყვაოდა.
სენიტის მიტიოსთვის მხოლოდ დედის საფლავი უნდოდა ეჩვენებინა. სენიტის დედა შარშან, გაზაფხულის ერთ დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა.
ბიჭები მიტიოს სახლთან გაჩერდნენ. სოფელს უკვე ეძინა. დაემშვიდობნენ ერთმანეთს.
— ნახვამდის!
— ნახვამდის!
სენიტი თავის სახლთან რომ მივიდა, უნდოდა კარი ჩუმად გაეღო, მაგრამ ოთახში სინათლე დაინახა. „მამას არ სძინავს", — გაიფიქრა სენიტიმ და კარი შეაღო. კიხატი ჭილოფზე იჯდა და სენიტის სანდლებს აკერებდა, რომლებითაც სენიტი სკოლაში უნდა წასულიყო.
— ჭამე ფაფა და დაიძინე, — უთხრა კიხატიმ.
სენიტიმ ფაფა სწრაფად შეჭამა, მერე ტოსიესა და იუმიეს შუა ჩაწვა.
სენიტი იწვა და გამურულ კედელზე მამის უშველებელ, მოქანავე ჩრდილს შესცქეროდა.

თარგმნა თინათინ ჯავახიშვილმა.

## ტოროლას ბუდე

ტოროლა ბუდეს მიწაზე, ბალახბულახებში იკეთებს, მაგრამ ერთხელ, შირაქში, ასეთი საოცარი რამეც ვნახე:

მანქანით მივდიოდი: გზაზე ერთი მენახირე დავინახე. ვეებერთელა ქვისთვის ხელები შემოეხვია და ძლივს მოჭქონდა; გამიკვირდა, ამ ტიალ მინდორზე რა თავში იხლის ქვას-მეთქი და მანქანა გავაჩერე.

— კაცო, რად გინდა მაგხელა ლოდი, რას ეკვლევინები? — ვკითხე. არც კი მომხედა, ისე გამეპასუხა:

— გამოდი და ნახე.

მანქანიდან გადავედი. მენახირემ ის ვეებერთელა ლოდი გზისპირზე დადო და ზედ ჩამოჯდა.

ვიფიქრე, რა არის სანახავი მეთქი?

კაცმა მითხრა, — მე რას მომჩერებიხარ, ძირს დაიხედე. დავიხედე და გაოცებისაგან თვალები დავაჭყიტე. მიწაზე, კამეჩისა თუ ძროხის ნაფეხურში ჩიტს ბუდე გაეკეთებინა, შიგ ოთხი ცალი ჭორფლიანი კვერცხი დაედო.

— რის ბუდეა, კაცო? — შევძახე გაოცებულმა.

— ტოროლასი!

— განა ტოროლა შარაგზაზეც იკეთებს ბუდეს?

— ეტყობა, უკეთებია...

— ან მანქანა შედგება, ან საქონელი გათელავს. — სინანულით ვთქვი და მენახირეს შევხედე.

— მეც მანდა ვარ! ცოდვაა ბუდეს გაუნადგურებენ; წავალ, ქვას კიდევ მოვიტან. იმას მეორე მხრიდან მოვაფარებ, მანქანაც მოერიდება, აღარც საქონლის ფეხი მოხვდება.

— მეც გიშველი, — ვთქვი და მენახირეს უკან ავედევნე. ორივე გზის გადაღმა საძოვარზე გადავედით, თითო მოზრდილ ქვას დავავლეთ ხელი და ბუდეს გარშემო შემოვუწყეთ.

თითქოს ტვირთი მოვიხსენით მხრიდან, მე და მენახირე ერთმანეთს კეთილად დავემშვიდობეთ. იმან საძოვარზე გაშლილ საქონელს მიაშურა, მე კი ჩემი მანქანით შირაქის შუაგულისაკენ გავუტიე.

ვლადიმერ ასლამაზაშვილი.

## ათასი წლის შემდეგ გაღვიძებული

ჟურნალი „პოლონეთის მიმოხილვა“ იუწყება, რომ 1970 წელს არქეოლოგიურ მონაპოვართა გამოფენაზე, ათასი წლის თესლისაგან აღმოცენებული მცენარე იყო წარმოდგენილი.

ამ მცენარის თესლი ადრეფეოდალური ხანის სამარხში იპოვნეს. ეს საფლავი არქეოლოგებმა სოფელ მასლოვიცესთან აღმოაჩინეს. თესლი ოდნავ წააგავს მდოგვის მარცვალს, მაგრამ ისეთი მაგარია, რომ სამართებლის პირითაც ვერ შეაცლით ქერქს. მიწიან ქოთანში ჩარგულმა თესლმა ერთ კვირაში გაიხარა. ბარე 12 სანტიმეტრამდე გაიზარდა და ნალის მსგავსი ფოთლები გამოისხა. მრავალრიცხოვანი კვირტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მცენარე კიდევ უფრო უნდა განვითარდეს. თუ რა მცენარეა ეს, დღემდე ვერ დადგინდა, მაგრამ დღეს ცოცხალ არცერთ მცენარეს რომ არ ჰგავს, ეს ცხადია.

## მცენარეს არ უყვარს ძლიერი ხმაური

ამერიკელი მეცნიერი ქალი დოროტი რეტალეკი, ხანგრძლივი და მრავალრიცხოვანი ძიების შედეგად მივიდა საინტერესო დასკვნამდე — დაამტკიცა მანამდე გავრცელებული აზრი, რომ მცენარეთა ფიზიოლოგიაზე აკუსტიკური რხევა უარყოფითად მოქმედებს. საინტერესოა, რომ სხვადასხვა მუსიკა მცენარეზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. მაგალითად, როკ-ენ-როლის „მოსმენა“ მცენარეს უფრო აჭიავებს, ვიდრე სხვა ხმაური. ბახის საორღანო მუსიკა თურმე მცენარეს თავის სახეს უნარჩუნებს. ხოლო მშვიდი და კლასიკური მუსიკა თითქოს ზრდის სტიმულსაც კი აძლევს.

ხის ასეთ დეტალს თუ აწებებ, სარეცხის სამაგრი გამოიყენე.



როცა გინდა მინის ქილა მჭიდროდ დახურო და ხუფი არა გაქვს, ასე უნდა მოიქცე: ცელოფანის ნაჭერი წყლით დაასველე, ქილას თავზე გადააკარი და გარშემო კანაფი შემოუჭირე. ცელოფანი გაშრება და ქილას საიმედოდ დახურავს. თუ ცელოფანს ზემოდან სქელ ქაღალდს გადააკრავ, მთლად უკეთესი. გახსნისას ცელოფანი ისევ წყლით დანამე.



როცა ტიხარში ნახვრეტი გინდა ამოლესო, ჯერ შიგ რამდენიმე ლურსმანი ჩაასვი და შემდეგ ამოლესე. კედელი ასე უფრო საიმედოდ შეილესება.



ლითონის ფირფიტისაგან გაკეთებული ასეთი ხელსაწყო, ექვსკუთხა ხრახნის ჩასახრახნავად და ამოსახრახნავად მართლაც რომ დიდებული რამ არის.





# ახალი მიწის გზაზე

**იაროსლავ იოსელიანი** — მოთხრობა — მხატვარი ზ. ფორჩხიძე.

1943 წლის 12 ოქტომბრის გათენებას ის სჯობდა, არ გათენებულიყო. დილაადრიანადვე ავარდნილი ქარი ქარიშხლად იქცა. ისედაც ჭირვეულ ბარენცის ზღვას ვეღარ იცნობდით. თვით უმამაცეს მეზღვაურსაც დასცემდა თავზარს უზარმაზარი ტალღების მოვარდნა. საოკეანო გემებიც კი სათამაშო ნავები გეგონებოდათ ამ მონავარდე ბუმბერაზებს შორის, რომელთა დარტყმაც საესკადრო ნაღმოსანს გადაბრუნებით ემუქრებოდა, დაღუპვას უქადდა ყველას და ყველაფერს.

— რატომღაც მგონია, ასეთი ამინდი მხოლოდ ომის დროს არის შესაძლებელი-მეთქი, — შენიშნავს უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლევან გაიოზის ძე რაზმაძე, მესამე რანგის კაპიტანი. იგი საესკადრო ნაღმოსნის უფროსის გვერდით დგას ბოგირზე, ერთ ხელში დურბინდი უჭირავს და ზღვას გასცქერის, მეორეთი კი ლეერს ეჭიდება და წონასწორობას იცავს.

— მე კი მგონია, რომ ასეთ ჯოჯოხეთში, საერთოდ, პირველადა ვარ, — უდასტურებს უფროსი. — ერთიც ვნახოთ, ტალღამ გემბანიდან გადაგვხვეტოს ყველანი, მოერიდება თუ? ჯერჯერობით როგორმე თავს ვიკავებთ, ყველა რაიმეს ვეჭიდებით, მაგრამ, ფუი ეშმაკს, დაბმული საგნების აწყვეტაც ხომ შეიძლება, რა მაგრადაც არ უნდა იყოს დაბმული!

— შეხედეთ, უფროსო! „მარინა რასკოვა“ ზოგჯერ სულაც არ ჩანს ტალღასა და ტალღას შორის! საოკეანო ხომალდი ეს ხომ ბუმბერაზია.

— ჰო, გაიოზის ძევ, ტრანსპორტი „მარინა რასკოვა“ თორმეტიათასტონიანი გიგანტი გახლავთ! — კვერს უკრავს უფროსი. — მის ტრიუმებში იმდენი აღჭურვილობა და სანოვაგეა, რაც მოზამთრეებს ახალ მიწაზე გაზაფხულამდე ეყოფათ. მაგრამ ტალღებმა ეს არ იციან და ამიტომ ისე ექცევიან, როგორც ცარიელ ასანთის კოლოფს.

ოფიცრები იღიმებიან, მაგრამ თვალს არ აცილებენ მბორგავ სტიქიას. სადღაც შორეთში მიეშურებიან შავი ღრუბლები და ლამის ეხებიან გემის ანძებს, ქანქარასავით რომ ირხევიან მუქ სივრცეში. შავი სუდარა წვება ზღვაზე, მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება მცირე ბადრაგის გემების დანახვა. საესკადრო ნაღმოსან „გრემიაშჩის“ კილვატერში* მიჰყვება სამი ტრანსპორტი: „მარინა რასკოვა“, „იუკაჩირი“ და „არხანგელსკი“. კილვატერიდან საკმაო დაშორებით, დაცვის ხაზზე „დაძრწიან“ საესკადრო ნაღმოსნები — მარჯვნივ „გრომკი“, მარცხნივ „კარლ ლიბკნეხტი“. რგოლს ჰკრავს ორი მეგუშაგე ხომალდი.

ქარის ძალა თორმეტ ბალს აღწევს. ტალღების თხემი ქარს მიაქვს და ერთიან ქაფად აქცევს. გემების წინ ზვირთთა კედლები აღმართულან, „გრემიაშჩი“ ვეღარასწრებს ტალღის ქოჩორზე ასვლას და წყალი თავს ატყდება. კორპუსი და ზედა ბანი მოდუღდუღე ნაკადით იფარება. ტალღა სავენტილაციო მოწყობილობას ფარავს. იმავე წამს თოვლის უსაშველო „კედელიც“ თავზე ემზღვლევათ, ასე, რომ, ერთიანი თეთრი ზეწარი ფარავს გემსაც, ზღვასაც, ცასაც...

— ქვედა სამყოფელებში პირდაპირ გაგიჟდები: ყველაფერი ჭრიალებს, კვნესის, — ამბობს ისევ რაზმაძე, — თითქოს სტიქიის ყოველ დარტყმაზე გემი გმინავსო.

— მადლობა ჩვენს გემთმშენებლებს, მაგარ ხომალდებს აგებენ! თორემ ასეთ პირობებში „სეირნობა“ შეიძლებოდა ცუდად დამთავრებულიყო. დიახაც საშინელია ამ განედებში შემოდგომის ქარიშხალი.

— უფროსო! მგონი... „მარინა რასკოვა“ კურსიდან უხვევს... ეს რა არის? სვლაც თითქოს შეანელა! რაღაც მოხდა. აი, პროჟექტორით სიგნალებს იძლევიან.

ნაღმოსან „გრემიაშჩიზე“ არავის უჭირს შუქნიშნით გადაცემული სიტყვების წაკითხვა: „ტალღამ საჭე მოაგლიჯა. გემი არ იმართება“...

სრულიად მოულოდნელი ავარია ბადრაგის ფლაგმანს მძიმე დღეში აგდებს. ასეთი გიგანტი გემი ქარიშხლიან

---

* კილვატერი — ერთმანეთის მიყოლებით (ითქმის გემების მოძრაობაზე).



ზღვაში, აწყვეტილი სტიქიის ნება-სურვილს მინდობილი!... — ფიქრიც კი საშინელია...

— ბუქსირზე აყვანა მოგვიხდება, ანტონ იოსების ძევ! — პირველად რაზმაძე მოდის გონს. — ჩანს, ჯოჯოხეთის ყველა განსაცდელი უნდა გავიაროთ.

გემის უფროსი ანტონ იოსების ძე გურინი სულაც არ არის მხდალი, მაგრამ ასეთი ბუმბერაზის ბუქსირზე აყვანა, ასორმოცდაათ მილზე თრევა, ე. ი. თორეჯის ყურემდე, რაც ახალი მიწის კუნძულზეა, ნაოსნობის პრაქტიკაში წარმოუდგენელი და დღემდე არსებულის საშუალებებით განუხორციელებელი რამ არის. შეიძლება ტრანსპორტიც დაიღუპოს და საესკადრო ნაღმოსანიც თან ჩაიტანოს.

— სხვა გამოსავალი არ არის, ანტონ იოსების ძევ, — რაზმაძე თითქოს კითხულობს ფიქრში წასული უფროსის აზრებს, — „მარინა რასკოვას“ დაღუპვა ულუკმაპუროდ დატოვებს მოზამთრეებს და... ვინ იცის, კიდევ რას გამოიწვევს ყველაფერი ეს. რამე უნდა ვიღონოთ!

— დიახ, გაიოზის ძევ, შენ უთუოდ მართალი ხარ! — ერთბაშად იღებს გადაწყვეტილებას გემის უფროსი. — გაამზადეთ გემი ტრანსპორტის ბუქსირზე ასაყვანად. გადაეცით ბადრაგს შუქნიშანი: „ბადრაგის ყველა გემი აღებული კურსით წავიდეს და მიადგეს თორეჯის ყურეს. „გრემიაშჩი“ ბუქსირზე აიყვანს „მარინა რასკოვას“ და მარშრუტს დამოუკიდებლად გაჰყვება. მეგუშაგე გემებმა მტრის წყალქვეშა ნავებისაგან დაიცვან „მარინა რასკოვა“. გადასასვლელზე უწინდებურად დაიცავით რადიოდუმილი. გურინი“.

მძიმე პირობებში ხდება გემების გადაჯგუფება, როდესაც საჭე გაჭირვებით ემორჩილება ადამიანს. დაწინაურებული ხომალდები ჯერ კიდევ გამოკრთებიან ხოლმე ტალღებს შორის, ანძების რხევით მიეშურებიან ახალი მიწის მხარეს, „გრემიაშჩი“ კი სახიფათო მანევრს იწყებს, ავარიულ ტრანსპორტს უახლოვდება. მართვას მოკლებულ ხომალდს იმდენზე უნდა მიუახლოვდნენ, რომ გემბანიდან ხელით გადასროლილი თოკის ბოლოები მისმა მეზღვაურებმა დაიჭირონ, შემდეგ კი საბუქსირო გვარლიც მიიღონ. მცირეოდენი შეცდომა შეიძლება შეჯახებით და ორივე ხომალდის დაღუპვით დამთავრდეს.

პირველი ცდა უშედეგო გამოდგა. თოკის გადაწოდების დროს „გრემიაშჩი“ ტალღამ ქოჩორზე მოიგდო. მერე, დაბლა დავარდნის დროს, გურინი რაღაც სასწაულით ახერხებს მის გადარჩენას, რადგან კიჩო პირდაპირ ტალღებს შორის მდუღარე ნაპრალში ჩავარდნილ „მარინა რასკოვას“ მიუახლოვდა, თანაც ისე სახიფათოდ, რომ შეიძლებოდა კატასტროფა მომხდარიყო. ნახევარი საათის შემდეგ „გრემიაშჩი“ მანევრს იმეორებს, და ისევ უშედეგოდ.

მაგრამ მეზღვაურები როგორღაც მიეჩვივნენ ასეთ მარცხს და, თუ პირველად იმედი დაკარგეს, ახლა გულგრილად ხვდებიან ყოველი ახალი ცდის წარუმატებლობას, სულ უფრო დაჟინებით ლამობენ მიზნის მიღწევას.

— მთავარია, არ დავკარგოთ რწმენა გამარჯვებისა! — ამ სიტყვებით ხვდება რაზმაძე სტიქიის გამარჯვებას. — აი, ნახავთ, ჩვენ მაინც ვიხსნით ჩვენს პატარძალს მარინას!

შეუპოვრობას თავისი გააქვს. მრავალი მარცხისა და იმედგაცრუების შემდეგ „გრემიაშჩიმ“ საბუქსირო გვარლი მაინც გადაისროლა „მარინა რასკოვაზე“. მაგრამ ახლა იწყებოდა მთავარი — ბუქსირზე აყვანა, რაც გვარლის გადაგდებაზე მეტ რისკთანაა დაკავშირებული. სულ მცირეოდენი დაუდევრობა კმარა, რომ ქარიშხალმა საბუქსირო გვარლი ძაფივით გაწყვიტოს და მაშინ ყველაფერი თავიდან დაიწყება. საერთო წინსვლა კი ისე ნელია, რომ, გეგონებათ, გემები ადგილზე დგანანო. თუ მტრის წყალქვეშა ნავები გამოჩნდებიან, ბევრი დამიზნება არც უნდა, ისე მოახვედრებენ და ძვირფას მსხვერპლს ოლად გაუსწორდებიან. მაგრამ მეზღვაურები ამაზე აღარ ფიქრობენ. რაც მთავარია, ის უკვე გაკეთდა. მაშასადამე, ამოცანის მეორე ნაწილსაც მოერევიან.

ბუქსირზე აყვანა პირველად მართლაც წარმატებით დამთავრდა. დღე მიიწურა, საღამოს ბინდი ეპარება ისედაც დაბინდულ ზღვას.

— ამხანაგო უფროსო! — ბოგირზე ყველას ესმის



მორიგე რადისტის შემზარავი ხმა, რუპორში რომ ქუხს. — საესკადრო ნაღმოსანი „კარლ ლიბკნეხტი“ რადიოგრამას გვიგზავნის, ტრანსპორტი „არხანგელსკი“ მცურავ ნაღმს დაეჯახა, აფეთქდა და ჩაიძირაო.

მეზღვაურები ყრუ დუმილით ისმენენ სამწუხარო ცნობას, და როდესაც იმავე წამს „გრემიაშჩი“ ქვასავით სწრაფად ვარდება ატორტმანებული ტალღის თხემიდან და საბუქსირო გვარლი წყდება, ამ გულსაკლავ ამბავს თითქოს გულგრილად ხვდებიან.

— ვფიქრობ, ახლა საბუქსირო გვარლს უფრო იოლად გადავისვრით, არა, უფროსო? — ეკითხება გურინს მოადგილე. — გამოცდილება გვაქვს

— მინდა მეც ასე ვიფიქრო, გაიოზის ძევ, გამოცდილება გვაქვს, ოღონდ აი... გვარლი მგონი ბევრი აღარ გვაქვს...

— რა იქნება, ანტონ იოსების ძევ, გვარლის ნაცვლად ღუზას ჯაჭვი რომ გამოვიყენოთ? უფრო მაგარია და უფრო გრძელიც გამოგვივა. თანაც ჯაჭვები ერთგვარი „საჰაერო რესორის“ მოვალეობას შეასრულებენ, არა?



— ეშმაკმა დალახვროს, გაიოზის ძევ, შენ მართალი ხარ!

ჯაჭვის გადასროლა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე საბუქსირო გვარლისა. მთელი ღამე გრძელდება სასტიკი ურაგანის პირობებში ჯაჭვების მომზადება და ღუზასთან ჯახირი. მაგრამ თენდება და მეზღვაურებმა შვებით ამოისუნთქეს. „გრემიაშჩი“ უკვე ნელ-ნელა მიათრევს სტიქიის მონა-მორჩილ ტრანსპორტს.

ხანგრძლივი ჯაფით არაქათგამოცლილი მეზღვაურები მცირე ხნით დაკიდებულ საწოლებზე წვებიან, რომ სული მოითქვან. ეჰ, რა სჯობს ქარიშხალში ამ საწოლს, ვისაც წოლის დრო აქვს! გემი ჭრიალებს, ცეკვავს, შენ კი ირწევი შენს „აკვანში“ და გძინავს ტკბილად...

— მენიშნეებო! ფრთხილად! ჩვენ მცურავი ნაღმების რაიონში მივცურავთ! — მოაგონებს გურინი ეკიპაჟის წევრებს. — არ შენელდეს წყალქვეშა ნავებზე მეთვალყურეობა!

ქარიშხალი კვლავ მძვინვარებს, მაგრამ შავი ღრუბლები ცოტათი იფანტებიან, ხილვადობა უმჯობესდება, მენიშნეებს შეუძლიათ ჰორიზონტი მხედველობის არიდან არ გაუშვან. მაგრამ მცურავი ნაღმის შემჩნევა აქოჩრილი ტალღის ზედაპირზე, სადაც საოკეანო გემიც ძლივს ჩანს, ცოტა ძნელი საქმეა. ამიტომ უფროსიც, მისი მოადგილეც ბოგირს არ შორდებიან და დურბინდებით ზღვას გასცქერიან. დასვენებაზე ფიქრიც ზედმეტია. ანაზდად რაზმაძის შეყვირება ყველას აკრთობს, მენიშნე კი ლამის თავისი კოშკურიდან გადმოვარდეს. ოღონდაც! ტალღის თხემზე რაღაც ნაღმის მსგავსი რამ საგანი ჩანს. მართლაც, ნაღმია, მცურავი ნაღმი, ფაშისტებმა რომ დაყარეს ჩვენი გემების გზაზე...

— 25 გრადუსის პელენგაზე მცურავი ნაღმია! კიჩოს ქვემეხით მოისპოს! — მშვიდად ბრძანებს უფროსი. მთავარია ნაღმის აღმოჩენა, თორემ მისი მოსპობა ყველაზე იოლია.

— ასეთი ეშმაკის ხაფანგის შემჩნევა ღამით გაჭირდებოდა! — შენიშნავს გუშაგი ოფიცერი. — ასეთი ნაღმები ხომ ძირითადად ღამით დაცურავენ ნაპირ-ნაპირ, — ჩვენ კი ნაპირს სწორედ ღამით მივადგებით.

— არა, ამხანაგო ვასილიევ, ჩვენ ნაღმებს ალბათ აღარ შევხვდებით, — რაღაც მტკიცე რწმენით ამბობს რაზმაძე. — ჯერ კიდევ დღისით, საღამოჟამს მივადგებით ნაპირს.

საღამოჟამს ეს უცნაური ბადრაგი მართლაც ნაპირზე უშვებს ღუზას. ერთი — ტრანსპორტია ბუქსირზე აყვანილი, სამიც — დამცველი გემია.

ახალი მიწის მოზამთრეები მათ სიხარულით ხვდებიან. უკვე შეუძლიათ იმედი იქონიონ, რომ ამ მძიმე პირობებში გაზაფხულამდე სამოსი და სანოვაგე არ შემოაკლდებათ. პოლარეთში კი ეს მთავარია.

ახალი მიწის მოზამთრეები გულში იკრავდნენ მამაც მეზღვაურებს, რომელთა თავგანწირვამ მათ ამდენი დოვლათი გადაურჩინა.

## ცხრა წელი ფულუროში

ცხრა წელი იცხოვრა ემილ ბილუნდმა უზარმაზარი მუხის ფულუროში, დიურგერგენის კუნძულზე, სტოკჰოლმის ცენტრში. დილით იგი ქალაქში მიდიოდა სამუშაოდ, ისადილებდა რომელიმე იაფფასიან კაფეში, საღამოს კი „თავის" კუნძულზე ბრუნდებოდა, მოძებნიდა „თავის" მუხას და საძილე ტომარაში შეძვრებოდა. ასე მეორდებოდა ყოველდღე ზამთარ-ზაფხულს, სიცხესა თუ ყინვაში.

სუფთა ჰაერზე ყოფნის განსაკუთრებული სიყვარული სრულიად უბრალოდ აიხსნება — ბილუნდს სხვა ბინა არ გააჩნდა.

## არა სიტყვითა ერთითა

ნიუ-იორკის წმინდა მამებს შორის მძაფრი კონკურენციაა გაჩაღებული. ამასთან, მლოცველთა სულზე მხოლოდ „სიტყვითა ღვთისითა" როდი ნადირობენ. ასე, მაგალითად, რეფორმისტულმა ეკლესიამ თავის მთავარ იარაღად გულიაში და შემწვარი წიწილები აირჩია, რასაც ღვთისმსახურების შემდეგ ზომიერ ფასებში მიართმევენ ხოლმე მლოცველებს. პროტესტანტული სარწმუნოების მიმდევრები თევზსა და ხილის სალათას არიგებენ, მართმადიდებელი მღვდლე-



ბი კი სოსისს არჩევენ. „მხოლოდ სულიერი საზრდოთი ადამიანი მაძღარი ვერ იქნება", — ამტკიცებენ ამჟამად წმინდა მამები, რაკი იციან, რომ კარგი მენიუ უფრო მიმზიდველია, ვიდრე კარგი ქადაგება.

## „გონიერი" ჩაფხუტი

ხმაური ცივილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე საშიში უბედურებაა. მეტისმეტი ხმაური ზოგჯერ მძიმე დაავადებებს იწვევს. ინგლისის ერთმა ფირმამ აეროდრომების ტექნიკური პერსონალისათვის გამოიგონა განსაკუთრებული ფილტრით აღჭურვილი ჩაფხუტი. ეს ფილტრი ადამიანის ხმას ატარებს, მაგრამ ყურს საიმედოდ იცავს მოტორების ხმაურისაგან.




## 15 ხარის ოდენა

ბეჰემოთის ხორცი ძალიან გემრიელი და ცუათიანია. ამიტომაც ფრანგი ზოოლოგები ამ ცხოველის მოსაშენებლად ცდებს ატარებენ სპეციალურ ნაკრძალებში, სადაც ტროპიკული ჰავა და ჭაობებია. ერთი ბეჰემოთი იმდენ ხორცს იძლევა, რამდენსაც 15 ხარი ერთად.

## რომლის რძეა ყველაზე ცხიმიანი?

კარგი ძროხის რძის ცხიმიანობა 3-4 პროცენტს არ აღემატება. უფრო ცხიმიანი რძე ნაღებად ითვლება, რომელსაც რძის ქარხანაში იღებენ. ზოგიერთი გარეული ცხოველი კი მზა ნაღებს იძლევა. მაგალითად, ანტილოპა გნუს რძეში 7,3 პროცენტია ცხიმი. ამაზე უფრო ნოყიერია სპილოს რძე. მისი ცხიმი 9,8 პროცენტს აღწევს, ხოლო დელფინის რძე მართლაც რომ ნამდვილი ნაღებია. — მასში ცხიმი 18 პროცენტია, და მაინც ამ მხრივ რეკორდი კალიფორნიულ რუხ ვეშაპს ეკუთვნის. — მის რძეში ცხიმი 53 პროცენტია!

## კინოთეატრი ალყაში

პარიზის ერთ-ერთ კინოთეატრში ცხოველთა ცხოვრების ამსახველი ფილმი უნდა ეჩვენებინათ. კინოთეატრის მფლობელმა იფიქრა, ამ ფილმს ბევრი მაყურებელი არ ეყოლებაო და, ამიტომ გადაწყვიტა უჩვეულო რეკლამისათვის მიემართა. მან მოლარედ დასვა... მაიმუნი. ეს რომ გაიგეს, კინოთეატრს იმდენი მაყურებელი მოაწყდა, რომ იგი პირდაპირ ალყაში აღმოჩნდა.

## ხმოვანი წიგნი

იქნებ წაგიკითხავთ ანდერსენის ზღაპარი წიგნზე, რომლის ფურცლებზეც ადამიანები და მხეცები ცოცხლდებოდნენ. ამას წინათ ერთმა ამერიკულმა ფირმამ გამოსცა წიგნი, რომელშიაც მხეცების სურათებია დაბეჭდილი. წიგნის ფურცვლისას, როცა, ვთქვათ, ლომის სურათამდე მიხვალ, მოგესმება ლომის ბრდღვინვა. ამ წიგნის ფურცლებიდან გაიგონებ აგრეთვე ძაღლის ყეფას, ვეფხვის ღრიალს და ა. შ. როგორ ხდება ეს? ეგ უკვე ფირმის საიდუმლოებაა.

## წყალქვეშა პარკი

იაპონიის სანაპიროსთან, ქალაქ ტოსამიდაუს მახლობლად ოცი მეტრის სიღრმეზე შენდება მსოფლიოში პირველი წყალქვეშა პარკი. მის დამთვალიერებლებს შეუძლიათ ისეირნონ მინის ხეივნებში და თან ზღვის ფლორისა და ფაუნის ნახვით დატკბნენ. პარკის ფართობი 80 ჰექტარია.

## რატომ რეკავენ ზარს?

ღვთისმსახურების დაწყების წინ ზარის რეკვის წესი ბევრად ხნიერია ქრისტიანობაზე. ზარის რეკვით იუწყებოდნენ წარმართული ღმერთების პატივსაცემად გამართული ცერემონიის დაწყებას. ასურეთში ნაპოვნი უძველესი ზარი თითქმის სამი ათასი წლისაა.

თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადამიანები ზარს, ამაზე მკაფიოდ მეტყველებს ასურეთული ზარის ზედაპირზე შემონახული ნახატი. მხატვარს გამოუსახავს ტრადიციული ფიგურები ბოროტი სულებისა, რომლებზედაც ზარს „ძალა ჰქონდა". ზარის რეკვა ითვლებოდა ხმად განსაკუთრებული ღვთაებისა, ვისაც შეეძლო განედევნა ადამიანისთვის საშიში ბოროტი სულები და მკვდართა აჩრდილები.

ზარმა ქრისტიანულ რელიგიაშიც შეინარჩუნა (რა თქმა უნდა, ადამიანთა წარმოდგენით) უწმინდური სულების განდევნის წი-



ნანდელი ზებუნებრივი ძალა. უფრო მეტიც: ერთ-ერთ შუასაუკუნეთა დროის ზარზე ასეთი წარწერაა: „სანამ მე ვრეკავ, დაე შორს გადაიხვეწოს ცეცხლი, სეტყვა, მეხი, ელვა, სენი, მახვილი, სატანა და ბოროტი ადამიანი".

# გიგა და ვარხვი

ნახატი მოთხრობა
მხატვარ მ უ გ უ ზ ა ლ ი ს ა



## კ რ ო ს ვ ო რ დ ი

ვერტიკალურად: 1. უძველესი ქალაქი მესოპოტამიაში; 2. კუნძული წყნარ ოკეანეში; 3. ყვავილი; 4. ქალაქი გერმანიაში; 7. ქართველი მსახიობი ქალი; 9. დიდი ქართველი პოეტი; 11. კუნძული კარიბის ზღვაში; 13. გარეული ცხოველი; 14. გარეული ცხოველი; 18. სამრეწველო ქალაქი ინგლისში; 21. ბუნების მბრძანებელი; 22. ძირითადი დებულება; 23. ანტიკური ხანის სახელმწიფო წინა აზიაში.



ჰორიზონტალურად: 5. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 6. სახელმწიფო არაბეთის ნ.კ-ზე; 8. საბჭოთა კავშირის გმირი; 10. ქიმიური ელემენტი; 12. მდინარე საბჭოთა კავშირში; 14. „დიდოსტატის მარჯვენის" პერსონაჟი; 15. ფქვილის გასაცრელი; 16. საქართველოს ძველი სახელი; 19. მდინარე აფრიკაში; 20. სპორტის ძველი სახეობა; 24. სახელმწიფო აფრიკაში; 25. მწერალ გ. გოგოროვის ნაწარმოები; 26. პორტუგალიის დედაქალაქი; 22. სახელმწიფო აფრიკაში.

ბუბა ტაბატაძე,
აბაშის რაიონის, სოფ. ქოლობნის საშ. სკოლის VI კლ. მოსწავლე.

## გეოგრაფიული თავსატეხი



ჰორიზონტალურად განლაგებულ უჯრებში ჩასვით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქალაქების სახელები.

გიორგი ჯიაბრიშვილი,
თბილისის გახანგრძლივებული დღის მე-2 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.



## თავსატეხი

უჯრედებში ჩაწერილი რიცხვები ისე გადაადგილეთ, რომ რიცხვების შეკრებით, როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ და დიაგონალურ მწკრივებში მიიღოთ ჯამი — 319.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 51 | 51 | 51 | 51 | 51 | 51 |
| 52 | 52 | 52 | 52 | 52 | 52 |
| 52 | 52 | 52 | 52 | 52 | 52 |
| 53 | 53 | 53 | 53 | 53 | 53 |
| 54 | 54 | 54 | 54 | 54 | 54 |
| 55 | 55 | 55 | 55 | 55 | 55 |

ნანა ტეტუნაშვილი,
ტირძნისის საშ. სკოლის VII კლ. მოსწავლე.

## პასუხი № 6-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 1. კინგი; 7. ერერა; 10. დარია; 11. ბამბა; 13 ალტაი; 14. ირემი; 16. ტალი; 17. იავა; 18. ტირანა; 19. არაგვი; 21. ლომია; 22. იტილი; 24. ჰია; 26. ასო; 27. სიცილია; 29. ჩიქოვანი; 30. ლისიცინი; 31. ბელორუსი; 36. ფარავანი; 37. ნორვეგია; 38. „აპოლონი"; 41. არი; 43. ეკა; 44. ორისა; 46 „კირპი"; 48. იბერია; 49. რივერა; 51. დანა; 53. ოსლო; 54. ივანე; 56. ოსეთი; 57. ორერა; 58. ანისი; 59. ისკია; 60. ლიდსი.

ვერტიკალურად: 1. კიოტო; 2. გული; 3. ჩაი; 4. ვიეტნამი; 5. ლაზარევი; 6. ობი; 8. რომი; 9. აპრაუ; 10. დანია; 12. არჩვი; 13. ალკოა; 15. იაილა; 18. ტიტოვი; 20. იტალია; 21. ლიბია; 23. ისანი; 25. ლივერპული; 27. სილეზია; 28. ალბიონი; 32. კაირო; 33. ივნისი; 34. ივერია; 35. ცირკი; 39. პამიდორი; 40. ნიკიტინი; 42. ირანი; 43. ეპოსი; 45. აბანო; 46. კროსი; 47. ადენი; 50. ჰორტი; 52. ავზი; 53. ოთხი; 55. ერი; 56. ოსი.

### ქალაქების სახელები

ორბიტი; სალავატი; სიქტივკარი; ტროიცკი; კარტალი; ჩისტოპოლი; ვოტკინსკი; ტიუმენი; მაგნიტოგორსკი; ჩიტა.

### შარადა

მტკვარი.



# სპორტი

სანამ სპორტულ წვრთნას დაიწყებდე, კარგი იქნება თუ დაჟურვის ტიპის რამდენიმე ვარჯიშს შეასრულებ. აი, ისინიც:

1. გულაღმა დაწექი, ხელებით იატაკს დაეყრდენი, რაც ძალი და ღონე გაქვს, ხელებით აირეკნე, ტაში შემოჰკარი და ისევ ხელებზე დაეშვი. (ყოველი ვარჯიში 5-6-ჯერ უნდა შეასრულო).

2. თავდაღმა დაწექი და ხელებს დაეყრდენი, ტანგამართულმა და ფეხებგამართულმა წინ და უკან გაიარე.

3. გამართული დადექი. დაიხარე და ხელები კოჭებზე მოიკიდე. ასე ფეხზე ხელჩავლებულმა წინ და უკან გაიარე.

4. თავდაღმა დაწექი და ხელებს დაეყრდენი. ფეხები მოხარე და ხელებშუა ჯერ უკან გააძვრინე, მერე ისევ წინ გამოაძვრინე.

5. დაჯექი. ხელები წინ გაიშვირე და მუხლში გამართული ფეხები რიგრიგობით ხელებს მიარტყი. (მარცხენა მარჯვენას, მარჯვენა მარცხენას). ამ ვარჯიშის გართულება შეიძლება — ფეხები ჰორიზონტალურად ამოძრავე, ხელები — ზევით-ქვევით.

6. თავდაღმა დაწექი. ერთდროულად ასწიე და გამართე მარცხენა ფეხი და მარჯვენა ხელი. შემდეგ მეორე ხელი და ფეხი.

7. ცერებზე შედექი, ჩაბუქნე და მუხლები იატაკს დაადე, წამოდექი. (თუ გაგიჭირდეს, პირველად ხელების შეშველებაც შეიძლება).





## სარჩევი


წულუკიძე რ. — ხუთწლედის ნაბიჯები . . . . 2
ჩუბუკოვი მ. — მეგზური (მოთხრობა) . . . . 6
შამფრიანი ს. — ახალი ლექსები . . . . . . 11
შეჩოელი ს. — აქ მუდამ მხიარულებაა (ნარკვევი) . 12
ბაწელაშვილი ზ. — კუსალია (მოთხრობა) . . . 13
ახალი წიგნები . . . . . . . 19
დედაქალაქის სიახლენი . . . . . . 20
სიდამონიძე ვ. — ნინიკა კახელი (წერილი) . . . 22
სვანიძე ლ. — ვარდის ქურდი (მოთხრობა, თარგმანი თ. ჯავახიშვილისა) . . . . . . . . . 23
ბუნების კარი . . . . . . . . . 25
გამოცანები . . . . . . . . . 25
იოსელიანი ი. — ახალი მიწის გზაზე (მოთხრობა) . 26
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . 29
თამაშობანი . . . . . . . . . 30
ცხრაკლიტული . . . . . . . . . 31
სპორტი . . . . . . . . . . 32



ყდის 1-ლ გვერდზე — „ტურისტები“, მხატვარი ზურაბ მექმარიაშვილი.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

სარედაქციო კოლეგია: შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-06 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/V-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VI-71 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 1919. ტირ. 124.065. უე 02070.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

## რუსული ბოილინგი

ეს თამაში იმითია კარგი, რომ წლის ყველა დროს შეგიძლიათ მისით თავის შექცევა. მოწყობილობა მარტივია: 5 კეგლი, 45 მ.მ. დიამეტრის ბილიარდის ბურთი და სპეციალური დაფა.

ოცმილიმეტრიანი ფიცრისაგან გამოჭერით დაფის ოთხი დეტალი (ზომებს სურათზე ნახავთ). ეს დეტალები — სამი გვერდი და ფუძე ერთმანეთზე წებოთი მაგრდება.

„მინდორი“ (ზომები ნახატზეა) წარმოადგენს კარგად გაპრიალებულ, ღია ფერის სალებავით შეღებილ დაფას, მასზე ამობურღულია კეგლების ჩასადგმელი 10 ფოსო, კარგი იქნება თუ ფოსოებს თეთრად შეღებავთ. ეს დაფა — „მინდორი“ დადგმულია სადგარზე, ამიტომ ოდნავ დახრილია. კეგლები ხისგან შეგიძლიათ გამოთალოთ, მათი ზომა ფოსოების სიდიდეზეა დამოკიდებული.

კენჭი ყარეთ. პირველი მოთამაშე დანიშნული მიჯნიდან ისვრის ბილიარდის ბურთს, ცდილობს კეგლებს მოარტყას. ეს ბურთი უნდა მოხვდეს რომელიმე კეგლს, წააქციოს იგი და ფოსოში მისი ადგილი დაიკავოს. თუ ეს მოახერხა, მოთამაშეს ქულა ეწერება. წარუმატებლობის შემთხვევაში ბურთი მეორე მოთამაშეს გადაეცემა. ანგარიში ათამდეა.




## პიკეტი



პიკეტი შეგიძლიათ ითამაშოთ სპორტდარბაზშიც და მინდორშიც. მოედანი გაყავით ორად, ერთ მხარეს „ლურჯების“ მოედანი იქნება, მეორე მხარეს კი „ყვითლების“. თითოეულ გუნდში ექვსექვსი მოთამაშეა. ერთერთი მათგანი იქნება „პიკეტი“. მისი ადგილი მოწინაალმდეგის მოედანზე მოხაზულ წრეშია. მისი ამოცანაა — წრეხაზიდან გამოუსვლელად დაიჭიროს ბურთი, რომელსაც მისი გუნდის რომელიმე მოთამაშე გადაუგდებს. მოწინაალმდეგის მიზანია დაიჭიროს მოწოდებული ბურთი. ბურთის გადაცემის წესები ისეთივეა, როგორც კალათბურთში. ყოველ მოთამაშეს უფლება აქვს თავის მოედანზე ბურთს მხოლოდ ერთხელ დაარტყას. ამრიგად მეხუთე მოთამაშემ აუცილებლად უნდა მოასწროს თავის „პიკეტში“ ბურთის ჩაწოდება. თუ ბურთი მოწინაალმდეგის მოთამაშეებმა ჩაიგდეს, მაშინ ინიციატივა მათ ხელში გადადის. როცა ბურთი გუნდის „პიკეტში“ მოხვდება მათ გოლი ეთვლებათ.




თამაში გრძელდება ორი ტაიმი — თითოეული 10-10 წუთი.

## ბაწარგამოგმული ცურვა

ეს თამაში სახალისოც არის და თანაც ძალზე უწყობს ხელს ცურვის შესწავლას. მდინარეზე ან გუბურაზე ერთი ნაპირიდან მეორემდე მაგარი თოკი გაიბით. ბაწრის ერთი ბოლო წელზე შემოირტყით, მეორე კი თოკზე გამობმული ჭოჭონაქზე გადაადევით და ზედ სილით ან წყლით სავსე ვედრო ჩამოაბით. ვინც წყალზე დიდხანს იტივტივებს, გამარჯვებულიც ის არის.



მხატვარი
დიმიტრი
ზარაფიშვილი
მუშაობს
სურათების
სერიაზე
„ქართული
ხალხური
ზღაპრების
მოტივები“.
გთავაზობთ
მთიულეთში
ჩაწერილი
ზღაპრის
„იადონი
და
ბულბული“
ილუსტრაციებს.



ИНДЕКС 76157